პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 176 (9336)

შაბათი 26 ივლისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მივცეთ მაღალიდეური, მაღალმხატვრული კინოფილმები ჩვენს ხალხს—**მოწინავე** (1-ლი გვერდი).

მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადისათვის (1-ლი გვერდი).

გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით უნდა შესრულდეს (მე-2 გვერდი).

ბ. თათარიშვილი—ქალაქი-ბაღი სუხუმი კომუნიზმის ნათელ გზაზე (მე-2 და 3 გვერდი).

სანდრო შანშიაშვილი — ვიღაც-დროის ლიდერარხო! (მე-2 გვერდი).

გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა თავი უნდა დაიცვ-ზიონ ჩამორჩენას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

მივცეთ მაღალიდეური, მაღალმხატვრული კინოფილმები ჩვენს ხალხს

საბჭოთა კინო ბოლშევიკური პროპაგანდისა და აგიტაციის უდიდესი საშუალებაა. ჩვენი ეკრანი, სწორად წარმოსახავს რა ცხოვრებას მის რევოლუციურ განვითარებაში, ასწავლის საბჭოთა ადამიანებს შრომასა და ბრძოლას, უნერგავს მათ მაღალ იდეურ, მორალურ თვისებებს, ამაღლებს მათს შეგნებასა და პასუხისმგებლობას, უვითარებს და განუმტკიცებს სიყვარულს სამშობლოსადმი. კინო ასწავლის ჩვენს ადამიანებს როგორი უნდა იყვნენ ისინი, როგორ უნდა ეკიდებოდნენ მათთვის დაკისრებულ საქმეს, როგორ უნდა იბრძოდნენ ლენინ-სტალინის დიადი იდეების განხორციელებისათვის, კომუნიზმის აგებისათვის.

ასე დიდი და საპატიოა კინოს, მისი შემოქმედებითი მუშაკების ამოცანა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ ნათქვამია:

„ხელოვნების მუშაკებმა უნდა გაიგონ, რომ მათგან ისინი, რომელნიც... უპასუხისმგებლოდ და მოუფიქრებლად მოეკიდებიან თავიანთ საქმეს, ადვილად შეიძლება აღმოჩნდნენ მოწინავე საბჭოთა ხელოვნების გარეთ და ტირაჟში გამოვიდნენ, ვინაიდან საბჭოთა მაყურებელი გაიზარდა, მისი კულტურული მოთხოვნილება და მოთხოვნა გადიდდა, ხოლო პარტია და სახელმწიფო მომავალშიც ჩაუნერგავენ ხალხს კარგ გემოვნებასა და მაღალ მოთხოვნელობას ხელოვნების ნაწარმოებისადმი“.

საბჭოთა კინოხელოვნების მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია. უკანასკნელ ხანებში გამოშვებულია ისეთი შესანიშნავი ფილმები, როგორიც არის „ბერლინის დაცემა“, „დაუვიწყარი 1919 წელი“, „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“, „დონეცის მეშახტეები“, „უბანელი კაზაკები“ და სხვები. ისინი ქმნიან მთელ ეპოქას კინოხელოვნების განვითარებაში. ამ ფილმებში ცხოვრება ასახულია ლიტერატურისა და ხელოვნების სტალინური მეთოდის—სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მოთხოვნათა ზუსტად დაცვით; ნაჩვენებია საბჭოთა ადამიანის სულიერი ზრდა და სიმდიდრე, მისი დიდი ბუნება, მისი სამყარო; ასახულია ჩვენი ყოფის სიდიადე და მრავალფეროვნება. ამ ფილმებში დადებით მთავარ გმირად გამოსახულია ხალხი, რომელიც იბრძვის თავისი ბედნიერებისათვის და იმარჯვებს ამ ბრძოლაში, ხალხი, რომელიც საკუთარი ხელით აშენებს კომუნიზმის დიად შენობას.

ქართული კინოხელოვნების მუშაკებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრი კარგი ფილმი შექმნეს და ფეხადაჩინო ღვაწლი შეიტანეს საბჭოთა კინოს განვითარებაში. მაგრამ საქართველოს კინემატოგრაფია უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში მკვეთრად ჩამორჩა ცხოვრებას. მას არ შეუქმნია ცხოვრების მართლად ამსახველი მხატვრული კინოფილმები ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შესახებ; არ წარმოუქმნია ომისშემდგომი ცხოვრების გმირთა სახეები, არ უჩვენებია ქართველი ხალხის თავდადებული შრომა ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ახალი ამოცანების განხორციელებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დღეებში მიიღო ფართო დადგენილება მხატვრული ფილმების წარმოების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ თბილისის კინოსტუდიაში. დადგენილება, იძლევა რა კინოფილმების წარმოების დარგში არსებული დაუშვებელი ჩამორჩენის მიზეზთა ღრმა ანალიზს, სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს ჩვენი კინოს სწრაფი და განუხრელი აღმავლობისათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის სერიოზული ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ გააკეთა სათანადო დასკვნები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 4 სექტემბრის დადგენილებიდან „კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ“ და დაივიწყა, რომ ეს გადაწყვეტილება ეხება არა მარტო ერთ ფილმს, არამედ წარმოადგენს საბჭოთა მთელი კინემატოგრაფიის შემდგომი აღმავლობის პროგრამას.

საქართველოს კინემატოგრაფიის სამინისტრო არ იბრძოდა კინოხელოვნების იდეურ-მხატვრული დონის გაუნწყვეტელი აღმავლობისათვის, ჩვენი ყოფის მართლად ამსახველი ფილმების შექმნისათვის. აიღო რა ფილმების გამოშვების მინიმალური შეკვეცის კურსი, სამინისტრომ ხელი შეუშვა ამ საქმეს და იგი მთლიანად გადააბარა კინოსტუდიას. თბილისის კინოსტუდიის მუშაობაში კი გამეფებული იყო უდარდელობა, ნაკლები მომთხოვნელობა, საქმისადმი უყაირათო დამოკიდებულება. ამის შედეგია, რომ ჩვენმა კინომრეწველობამ გამოუშვა სუსტი ფილმები — „აკაკის აკვანი“, „ქეთო და კოტე“, „გაზაფხული საკენში“ და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში თბილისის კინოსტუდიამ დაკარგა თავისი შემოქმედებითი სახე.

ასეთი სერიოზული ჩამორჩენა საქართველოს კინემატოგრაფიისა, რომელსაც აქვს ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის შესანიშნავი ტრადიცია, შექმნილი 30-იან წლებში, ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი ხალხი სამართლიანად მოითხოვს ქართული კინოხელოვნების მუშაკთაგან მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ ფილმებს მისი თავდადებული კომუნისტური შრომის შესახებ. კინომრეწველობის მუშაკები ვალდებული არიან შეასრულონ ეს მოთხოვნა.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ შემოქმედებითი კადრების ზრდის საკითხს, შევუქმნათ მათ ყველა პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის, ვიყოთ მათ მიმართ მომთხოვნელნი, განუწყვეტლივ ვნერგავდეთ მათ შორის ბოლშევიკურ კრიტიკასა და თვითკრიტიკას.

კინოხელოვნების აღმავლობა უშუალოდ არის დაკავშირებული სასცენარო საქმის მოგვარებასთან. კარგი სცენარი ფილმის წარმატების ერთ-ერთი მთავარი და უპირველესი პირობაა. სწორედ ასეთი, მაღალიდეური და დიდი მხატვრული გემოვნებით შექმნილი სცენარები არ ეოპოვება საქართველოს კინომრეწველობას. ამ სერიოზულ საქმეს რატომღაც განზე უდგანან ჩვენი გამოჩენილი მწერლები, ისინი არ მუშაობენ კინოდრამატურგიის დარგში. საქართველოს მწერალთა კავშირმა და კინემატოგრაფიის საქმისტრომ დაიწყეს ის ჭეშმარიტება, რომ კინოსცენარების დაწერაში საჭიროა ჩავათ სწორედ გამოჩენილი, ნიჭიერი, დამსახურებული მწერლები. სცენარი ისეთივე მხატვრული ნაწარმოებია, როგორც რომანი, პოემა. მასში, ისევე როგორც ზხატვრული სიტყვის სხვა ჟანრებში, მთელი სიცრცელით უნდა აისახოს სინამდვილე, გასწნილ იქნას გმირის შინაგანი ბუნება და მისი გარემომცველი სამყარო, ვინაიდან კინოხელოვნება იგივე მხატვრული მეტყველებაა სახეებით. ჩვენი გამოჩენილი მწერლების საპატიო ამოცანაა მისცენ ქართულ კინოს კარგი სცენარი.

საუკეთესო მწერლებთან, დრამატურგებთან ერთად კინოს უნდა ამზარდნენ თავიანთს შემოქმედებითს გზნებას ჩვენი მხატვრები, კომპოზიტორები. საჭიროა მათი საუკეთესო ძალები გამოვიყენოთ ახალი, შესანიშნავი ფილმების შექმნაში.

კარგი სცენარი, კარგი მუსიკა, კარგი მხატვრობა, მაღალი რეჟისორული ოსტატობა იმის აუცილებელი პირობაა, რომ კინომსახიობმა შეძლოს მისთვის დაკისრებული რთული ამოცანის შესრულება — შექმნას გმირის მართალი სახე.

ჩვენი ცხოვრება მდიდარია შესანიშნავი მოვლენებით. თვითონ იგი აძლევს უამრავ მასალას მწერალსა და ხელოვანს შემოქმედებითი აღმაფრენისათვის. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იყო ცხოვრების მოვლენათა რეგისტრატორი. ცხოვრება აღსავსეა რთული, მრავალფეროვანი მოვლენებით. იგი რომ აჩვენო მთელი მისი სიდიადითა და სისრულით, უნდა შეგეძლოს ღრმად ჩაწვდომა ყოველ მის წვრილმანშიც კი. კარგი ფილმი არ შეიძლება შექმნა ისე, თუ ზედმიწევნით არ იცნობ ცხოვრებას. ცხოვრების ასეთი ცოდნა მოეთხოვება ყველას — სცენარის ავტორს, რეჟისორს, მხატვარს, კომპოზიტორს, მსახიობს. მათი ვალია აჩვენონ ადამიანები არა მარტო შრომაში, არამედ პირად ცხოვრებშიც. უამისოდ შეუძლებელია საბჭოთა ადამიანების მაღალი იდეური და მორალური თვისებების ასახვა.

ჩვენ გვყავს კინოხელოვნების შესანიშნავი, ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთაც ცნობილი ოსტატები. ამოცანა ის არის, რომ მათი შემოქმედებითი ენერგია მაქსიმალურად გამოვიყენოთ როგორც კინოხელოვნების ახალ ნაწარმოებთა შექმნაში, ისე აგრეთვე ახალგაზრდა კადრების აღზრდაში.

აუცილებელია მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენი კინოოსტატების გამოცდილების ფართო პოპულარიზაციას. უნდა გამოვცეთ ნარკვევები მოწინავე რეჟისორთა და მსახიობთა მეთოდების შესახებ; გამოვაქვეყნოთ კარგი სცენარები, ისევე როგორც ვაქვეყნებთ კარგ პიესებს, მოთხრობებს, პოემებს, რომანებს. ჩვენს პრესას აკისრია მოვალეობა ბეჭდოს კვალიფიციური რეცენზიები ახალი ფილმების შესახებ, მოგვცეს ამ ფილმების ღრმა ანალიზი. საჭიროა კარგის ფართოდ განზოგადება და გავრცელება, ხოლო ცუდის პირუთვნელი, პრინციპული კრიტიკა.

კინო დიდი ხელოვნებაა. მას ესაჭიროება ყოველდღიური ყურადღება და ხელმძღვანელობა, ფართო შემოქმედებითი ინიციატივა, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული.

ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი ყველა პირობას უქმნიან საბჭოთა კინოხელოვნების მუშაკებს ახალი შემოქმედებითი წინსვლისა და გამარჯვებებისათვის. საქართველოს კინოხელოვნების მუშაკებმა ამ პირობების სრული გამოყენებით უახლოეს დროში უნდა დაძლიონ ჩამორჩენა, მისცენ ჩვენს ქვეყანას სტალინური ეპოქის ამსახველი კარგი ფილმები.

მეჯი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადისათვის

★ ★ ★

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. **სურათზე:** მილნამზადის საამქროს სტახანოველი ტ. ლაბაძე, რომელიც ყოველდღიურ ნორმას 260 პროცენტით ასრულებს.

ვზარდოთ ჩქაროსნულ დნობათა რიცხვი

რუსთავი. („**კომუნისტის**“ **კორ.**). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში დღითიდღე ძლიერდება მუშაობის ტემპი. მარტენის საამქროში უკანასკნელ სამ დღეში განხორციელებულია 17 ჩქაროსნული დნობა.

ბლუმინგის საამქროში შემდეგელებელ. პავლენკოს, უფროსი ოპერატორების—ნ. უტიაშვილის, მ. ამბოკაძისა და ვ. ივანოვის ინიციატივით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საგლინავი დანადგარის სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის. ამავე საამქროში უფროსი ოპერატორების—გ. კოროვნინჩენკოს და მ. ამბოკაძის წინადადებით შეცვლილ იქნა ბლუმინგის ლილვების კონსტრუქცია, რამაც დიდად შეამცირა წუნი.

მიუხედავად ამისა, როგორც მარტენის, ისე ბლუმინგის საამქროებში ჯერ კიდევ დიდია წუნი. ივნისში ბლუმინგის საამქროში ასობით ტონა წუნდებული პროდუქცია გამოუშვეს. წუნი არის ივლისშიც. მარტენის საამქროში ღუმელების მუშაობის ხანგრძლივობა საშუალოდ 178 დნობას შეადგენს, როცა ყველა პირობა არსებობს ამ რიცხვის 200-მდე გადიდებისათვის. ქარხნისათვის დიდი სტალინის სახელის მიკუთვნება რუსთავის მეტალურგებს ავალებს შემდგომ გაზარდონ ჩქაროსნულ დნობათა რიცხვი, გაუუმჯობესონ გამოშვებული ფოლადის ხარისხი.

მეფოლადეთა შრომითი წარმატება

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივმა, რომლის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საწარმოს წარმატება, ქარხნისათვის დიდი სტალინის სახელის მიკუთვნებასთან დაკავშირებით ახალი ძალით გააჩაღა მუშაობა. მეფოლადეებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მთლიანად დაფარონ მეორე კვარტალის დანაკლისი და გეგმის გადამეტებით ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი გამოადნონ. ამას გარდა ვალდებულება ითვალისწინებს ღუმელის ქვედის თვითეულ კვადრატულ მეტრზე საშუალოდ 5 ტონა ფოლადის მიღებას, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების 300 ათასი მანეთით შემცირებას და წუნით გამოწვეული ლითონის დანაკარგების შემცირების შედეგად გეგმის გადამეტებით 1.500 ტონა ფოლადის გამოშვებას.

პირველი დღეებიდანვე ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით სრულდება. დღითიდღე იზრდება ჩქაროსნულ დნობათა რიცხვი. მაგალითად, პირველი ღუმელის მეფოლადეებმა, რომელთა შორის ყველაზე უკეთესად ა. ფანცულაია მუშაობს, 13-დან 23 ივლისამდე დნობათა 85 პროცენტი ჩქაროსნული მეთოდით განახორციელეს. ამავე ღუმელის ქვედის თვითეულ კვადრატულ მეტრზე მიღებული ფოლადის რაოდენობამ ცალკეულ დღეებში 6-7,5 ტონას მიაღწია. საყურადღებოა, რომ 22 ივლისს საამქროში განხორციელებული იყო 8 ჩქაროსნული დნობა.

საგრძნობლად გაუმჯობესდა გამოშვებული ფოლადის ხარისხი. თუ წინათ გაგლინვისას ფოლადის 5-6 პროცენტი წუნში მიდიოდა, ახლა საგლინავ საამქროში მეფოლადეთა მიზეზით გამოწვეული წუნი ხშირად ერთ პროცენტს არ აღემატება.

ამ წარმატებათა მიუხედავად, ჯერ კიდევ გვაქვს ჩრდილოვანი მხარეები ღუმელების გამძლეობის გადიდებისა და მათი წარმადობის მაქსიმალურად გამოყენების საქმეში. ჩვენი საამქროს მეფოლადეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მთლიანად აღმოფხვრან ნაკლი მუშაობაში და ქვეყანას მისცენ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადი.

ს. შარაშენიძე,

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. **სურათზე:** რკინიგზის საამქროს ორთქლმავლის წარჩინებული მემანქანე ცაცა მიბჩვიანი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ახალგაზრდა ოსტატის სტახანოვური საქმეები

რუსთავის მეფოლადეები ახალ, დიდ წარმატებებს აღწევენ მეტი და მაღალხარისხოვანი ფოლადისათვის ბრძოლაში. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ყველას გაუსწრო ახალგაზრდა მეფოლადემ გრიგოლ ბერეკაშვილმა, რომელმაც ერთი კვირის წინათ ჩაიბარა ღუმელი. მანამდე იგი თანაშემწედ მუშაობდა ცნობილ ჩქაროსან მეფოლადე ილია ლაზარიაშვილთან.

სამი დღის—22, 23 და 24 ივლისის განმავლობაში გ. ბერეკაშვილმა სამი ჩქაროსნული დნობა განახორციელა, მაშინ, როცა ცნობილმა მოწინავე მეფოლადეებმა — შ. კუხალეიშვილმა, ა. ფანცულაიამ და ი. მოროზოვმა ამავე ხანში ორ-ორი ჩქაროსნული ნადნობი მიიღეს.

— მოწაფემ გაუსწრო თავის მასწავლებელს! — სიამაყით ამბობენ გ. ბერეკაშვილის შესახებ მეფოლადეები.

ახალგაზრდა მეფოლადე მიღწეულით არ კმაყოფილდება და თავდადებით მუშაობს უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. (**„კომუნისტის“ საკ. კორ.**).

რუსთავის მეჯაღურგები ახალი ამოცანების წინაშე

საუბარი ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორთან ამხ. ნ. გოგმელაურთან.

დიდია ქართველ მეტალურგთა პატრიოტული აღფრთოვანება, ასევე დიდია პასუხისმგებლობაც! ჩვენს წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა: გავზარდოთ ფოლადის აღება ღუმელის კვადრატულ მეტრ ქვედზე, გავადიდოთ ღუმელის მუშაობის ხანგრძლივობა, უფრო სრულად გამოვიყენოთ საგლინავი ჩარხები, დავზოგოთ ნედლეული და მასალები, თვითეული დნობა სრულწონიანი და ჩქაროსნული გავხადოთ.

ქარხნისათვის ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნებამ ახალი საწარმოო წარმატებებისათვის აღაფრთოვანა ქართველი მეტალურგები. საამქროებსა და ბრიგადებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საგეგმო დავალებათა ვადამდე განხორციელებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადის გამოშვებისათვის.

უმაგალითო შრომითი აღმავლობაა ამ დღეებში მარტენის საამქროში, იქ, სადაც ქართულ ფოლადს ადნობენ. საამქროს კოლექტივმა, რომელიც გასული 6 თვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩა, ვალდებულება იკისრა ივლისის საწარმოო დავალების ვადამდე შესრულებით მთლიანად დაფაროს გასული თვეების დანაკლისი. ამ ვალდებულებას მეფოლადეები წარმატებით ანაღდებენ. ივლისის ოცი დღის გეგმა გადაჭარბებით არის განხორციელებული, საგრძნობლად შემცირდა გამოშვებული ფოლადის თვითღირებულება, გადიდდა ჩქაროსნულ დნობათა რიცხვი.

ივლისის გასული ოცი დღის განმავლობაში განხორციელებულია 65 ჩქაროსნული დნობა. სტახანოველმა მეფოლადემ ა. ფანცულაიამ, რომელმაც ივნისში სულ 4 ჩქაროსნული ნადნობი მიიღო, მარტო უკანასკნელ კვირაში 5 ჩქაროსნული დნობა განახორციელა. ასევე თვალსაჩინო წარმატებები აქვთ ივლისში მოპოვებული მოწინავე მეფოლადეებს შ. კუხალეიშვილს, ივანე მეტრეველს, ვ. შაპოვალოვს და სხვებს.

ახალ საწარმოო წარმატებებს აღწევს ბლუმინგის საამქროს კოლექტივიც. საამქროს სტახანოველები — უფროსი ოპერატორი ილია მეტრეველი, ლითონის ამომკვეთელი ი. გედენიძე და სხვები სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებებს. შესამჩნევად გაუმჯობესდა მილნამზადის, სარემონტო-მექანიკური, სამსხმელო და სხვა საამქროების მუშაობაც.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ყველა საშუალება გამოიყენოს იმისათვის, რომ პირნათლად გაანაღდოს დიდი ბელადისადმი გაგზავნილ წერილში ნაკისრი ვალდებულებანი, ვადამდე განახორციელოს წლიური საწარმოო დავალება: გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 8.000 ტონა ქართული ფოლადი, ამდენივე ნაგლინი, შეამციროს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება და გაუმჯობესოს მისი ხარისხი.

ქარხნის პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიმართულია ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელებისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ მეტალურგთა წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაობაზე. მშენებლებმა სწრაფად და გადაჭრით უნდა მოუღონ ბოლო ჩამორჩენას მეტალურგთა ბინების მშენებლობაში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მშენებლებს ქარხნისათვის უნდა გადაეცათ გასული წლის დანაკლისის ჩათვლით 15.800 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ფაქტიურად კი მიღებულია მხოლოდ 6.900 კვადრატული მეტრი ფართობი.

რუსთავის მეტალურგთა ახალგაზრდა კოლექტივი დღითიდღე აძლიერებს ბრძოლას მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადისათვის, იმისათვის, რომ ღირსეულად ატაროს ჩვენი საყვარელი, ძვირფასი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოციალისტური შრომის გმირის, მთავარ კონსტრუქტორ ვ. ი. კლიმოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საავიაციო მოტორთმშენებლობის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტური შრომის გმირი, მთავარი კონსტრუქტორი ვლადიმერ იაკობის-ძე **კლიმოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1952 წ. 23 ივლისი.

ხუთი ზღვის ერთ-ერთ ნავსადგურში

ედანოვი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის ამუშავების მოახლოებასთან დაკავშირებით ედანოვის ნავსადგურში სულ უფრო მეტი გაცხოველებაა. იგი ხუთი ზღვის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური ხდება. აქ ჩამოვა ქამისა და ციმბირის ხე-ტყის ტრანსპორტები დონეცის შახტებისათვის. აქედან დონბასი გაგზავნის ქვანახშირს, ლითონს და ბევრ სხვა პროდუქციას.

ნავსადგურის მუშაკები აქტიურად ემზადებიან ტვირთის გადიდებული ნაკადის გადასამუშავებლად.

ედანოვის ნავსადგურიდან კვლავ მიდის გემები, რომლებიც განკუთვნილია დონისა და ვოლგის სანაოსნო აუზებში სამუშაოდ. დღეს ბუქსირმა „მიჩურინმა“ ნავსადგურში ჩამოიყვანა კიდევ 8 კარჭაპი, სამდინარო გემი და მიწისმწოვი მანქანა ვოლგა-დონისათვის. ხანმოკლე გაჩერების შემდეგ ქარავანი როსტოვისაკენ წავა.

თბომავალმა „იოსებ სტალინმა“ კურსი აიღო სტალინგრადისაკენ

სარატოვი, 24 ივლისი. (საკდესი). დღეს ქალაქის მშრომელნი შეხვდნენ თბომავალ „იოსებ სტალინს“. სამდინარო ვაგზალში და სანაპიროზე თავი მოიყარა სარატოვის ათასობით მცხოვრებმა.

გემზე მოეწყო სარატოველი პიონერების შეხვედრა მოსკოველ პიონერებთან, მწერლებთან, სტახანოველებთან.

საღამოს თბომავალმა კურსი აიღო სტალინგრადისაკენ.

მუხლუხა ბრაქეზორის გამომგონებლის ფ. ა. ბლინოვის სამშობლოში

სარატოვი, 24 ივლისი. (საკდესი). ოლქის საზოგადოებრიობა აღნიშნავს თავისი თანამემამულის, მსოფლიოში პირველი ჰუხლუხა ტრაქტორის გამომგონებლის ფ. ა. ბლინოვის დაბადების 125 წლისთავს, რაც დღეს სრულდება. მხარეთმცოდნეობის საოლქო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა. აქ წარმოდგენილია მრავალი დოკუმენტი და მასალა, რომლებიც მოწმობენ ფ. ა. ბლინოვის გამოგონების პრიორიტეტს. მან ბევრად გაუსწრო ამერიკულ ტექნიკას. მუზეუმის მეცნიერი მუშაკები ექსკურსანტებთან მართავენ საუბრებს ბლინოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით უნდა შესრულდეს

ჭიათურელი მაღაროელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან მოძმე ნიკოპოლელ მაღაროელებთან. ჩვენი სამშობლოს მარგანეცის ორი მძლავრი საბადოს კოლექტივი თავდადებულად შრომობს მეტი მარგანეცისათვის.

ჭიათურელმა მაღაროელებმა გადაჭარბებით განახორციელეს მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის გეგმა — საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის დავალება შესრულდა გადამეტებით. ნახევარი წლის საწარმოო დავალებანი საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ლენინის სახელობის, ბერიას სახელობის და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა მარგანეცის საშუალო სადღეღამისო დამზადება. შარშანდელთან შედარებით მიმდინარე სამეურნეო წლის ექვს თვეში ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვება გაადიდა 11,7 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება 8,7 პროცენტით. მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადება საგრძნობლად გაადიდა აგრეთვე ბერიას სახელობის მაღაროს კოლექტივმა.

მაგრამ გეგმა არ სრულდება ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მეტალურგიულ ქარხნებს აკლდება პირველხარისხოვანი მარგანეცი, გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება.

მარგანეცის ტრესტმა მიმდინარე სამეურნეო წლის ექვს თვეში სამშობლოს რამდენიმე ათეული ათასი ტონა პირველი ხარისხის მარგანეცი დააკლო. ეს იმით აიხსნება, რომ მაღაროებში სუსტია გეოლოგიური მომსახურება. სტალინის სახელობისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში გაუარესდა ამოღებული მარგანეცის ხარისხი, რადგან დროზე არ განახორციელეს საჭირო ღონისძიებანი. ნაკლები ყურადღება ექცევა მადნის პირველადს გაუხვებას. სტალინის სახელობის, ბერიას სახელობის, დიმიტროვის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების მადნის გამაუხვებელ ფაბრიკებში ნაკლებად ზრუნავენ ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაზე, ახალი ტექნიკის დანერგვაზე, წარმოების კულტურის ამაღლებაზე. ბევრ ფაბრიკაში სიბინძურეა და ხარახურა ყრია, გრაფიკით არ აწარმოებენ დაზგა-დანადგარების წინასწარ შეკეთებას. ასეთი უდარდელი განწყობილების შედეგად მარტო პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების გეგმის შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი 328.700 მანეთს შეადგენს.

როგორც ცნობილია, პროდუქციის თვითღირებულება საწარმოს მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია. ამ დარგშიც არ არის ყველაფერი რიგზე. პირველი ხარისხის მარგანეცის გეგმის შეუსრულებლობას ემატება ძირითადი და დამხმარე მასალების უყაირათოდ ხარჯვა, რის გამო მარგანეცის ტრესტმა ხუთ თვეში 2.800.000 მანეთი გადახარჯა, ხოლო ექვს თვეში ამ თანხამ სამ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

პროდუქციის თვითღირებულების გაძვირების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია ახალი ტექნიკისა და მექანიზმების სრული დატვირთვით გამოუყენებლობა. არც ერთ მაღაროში მთლიანად არ იყენებენ ახალი კონსტრუქციის ბიგების გადამტან მოწყობილობას და მექანიკოს შ. ბუხრაშვილის კონსტრუქციის ბიგების გამოსატაცებელ ჯალამბარს, რაც სამაგრი მასალის დიდ დანაზოგს იძლევა. ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის მაღაროებში მადნის დამტვირთავ მექანიზმებს ჯერ კიდევ ვერ ამუშავებენ სრული სიმძლავრით. დამტვირთავი მანქანების ნაყოფიერებას ისიც ამცირებს, რომ სუსტია ტექნიკური ხელმძღვანელობა, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ლავების მომზადებას. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება დაუშვებლად აჭიანურებს კომპრესორების დადგმასა და მონტაჟს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცუდად მუშაობს ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, რომელმაც ექვსი თვის გეგმა 73 პროცენტით შეასრულა. მშენებლები ძალიან აჭიანურებენ სამუშაოებს და, რაც ყველაზე შეუწყნარებელია, უხარისხოდ აშენებენ. დიმიტროვის სახელობის მაღაროში პირველ კვარტალში უნდა დამთავრებულიყო საჰაერო-საბაგირო გზებისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ბუნიკაურის უბნის საავტომობილო გზის მშენებლობა, რაც ძალიან გაჭიანურდა და უხარისხოდ შესრულდა.

მთელი ძალით არ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, ადგილი აქვს ფორმალიზმს ამ საქმეში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარგანეცის ტრესტი, მისი განყოფილებები ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ მაღაროებს, მადნის გამაუხვებელ ფაბრიკებს. არ სწავლობენ პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გზებს, საქმიან ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ ამ დარგში.

გეგმა უნდა სრულდებოდეს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ყველა მაჩვენებლის მიხედვით — ასეთია მარგანეცის ქალაქის პარტიული, საბეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა.

პ. ჯიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოხკოვის ამბები

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ენათმეცნიერების ახალი სახელმძღვანელო

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა უახლოეს ხანში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის გამოსცეს ახალი სახელმძღვანელო «ენათმეცნიერების შესავალი». ამ სახელმძღვანელოს შედგენა სამინისტრომ მიანდო აკადემიკოს ვ. ვინოგრადოვს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფესორ ლ. ბულაკოვსკის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფესორ ა. ჩიქობავას.

სახელმძღვანელო გამოვა სამ ნაწილად. პირველი ნაწილი, რომელიც დაწერილია პროფესორ ა. ჩიქობავას მიერ, შეეხება ენის თეორიას (ენა, მისი საზოგადოებრივი რაობა, წარმოშობა და განვითარება) და ენათა კლასიფიკაციას. ეს ნაწილი სულ 15 ნაბეჭდ ფორმას შეიცავს. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის ტექსტი უკვე აწყობილია; სწორდება მისი პირველი საკორექტურო ანაბეჭდები (გამომცემელი — სახელმწიფო სასწავლო პედაგოგიური გამომცემლობა «უჩპედგიზი»). ეს პირველი ნაწილი გამოცემულ უნდა იქნას ახალი სასწავლო წლისათვის — 1 სექტემბრისათვის.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის შედგენაზე მუშაობს პროფესორი ლ. ბულაკოვსკი, მის მიერ შედგენილი ტექსტიც უკვე გამზადებულია წარმოებაში გადასაცემად. დაწყებულია აგრეთვე მუშაობა მესამე ნაწილის შესადგენად.

ამის პარალელურად მზადდება «ზოგადი ენათმეცნიერების» კურსის ახალი პროგრამა. ეს პროგრამა გამოცემულ იქნება აგვისტოს ბოლომდე.

არქიტექტორთა ახალგაზრდა კადრები

წელს მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტი დაამთავრა 180 ახალგაზრდამ. მათ შორის წარჩინებით დაიცვეს სადიპლომო პროექტები ახალგაზრდა კურსდამთავრებულებმა ნ. მგალობლიშვილმა და ტ. თევზაძემ. პირველმა დაამუშავა «მოსკოვის ქალაქის მუზეუმის» პროექტი; მეორემ — «სტადიონი ქალაქ სტალინგრადში».

ახალგაზრდა არქიტექტორები ნ. მგალობლიშვილი და ტ. თევზაძე გამოგზავნილი არიან თბილისში სამუშაოდ.

ახალი წიგნები

ვ. ი. ლენინი — ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. სახელგამი. პოლიტლიტერატურის სექტორი. 1952 წ., ტირაჟი 35.000, გვ. 288, ფასი 4 მან. 50 კაპ.

ი. სტალინი. საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. 1934 წლის 26 იანვარი. სახელგამი. პოლიტლიტერატურის სექტორი. 1952 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 215, ფასი 3 მან. 40 კ.

ა. მგელაძე. ზუსტად დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური კანონი. სიტყვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს. გამომცემლობა „კომუნისტი“. 1952 წ., ტირაჟი 25.000, გვ. 36, ფასი 25 კ.

პ. მ. სოინი. რკპ (ბ) მეოთხე ყრილობა. სახელგამი. პოლიტლიტერატურის სექტორი. 1952 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 140, ფასი 1 მან. 20 კ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა დასახმარებლად. სახელგამი. პოლიტლიტერატურის სექტორი. 1952 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 324, ფასი 5 მან. 75 კ.

ვოლგა-დონის დიდო არხო!

სანდრო შანშიაშვილი

სტალინური პრემიის ლაურეატი

შენ, სამგოსნო-სანაოსნო
ვოლგა-დონის დიდო არხო!
შორს ვარ, გხედავ, გული მიძგერს,
ნეტა ახლოს როდის გნახო?

რა სურვილი უნდა მქონდეს,
სიდიადით გაგიტოლდეს?
ხარ შეჭრილი ტრამალებში,
უხვად მოგაქვს სიტკბო ჩვენში!
გმირ სტალინგრადს,
მტკიცე ქალაქს
ელხინები,
ეღიმები,
განუკურნე ომის დაღი;
ის ზეიმობს შენთან ერთად,
ისიც შენებრ არის ლაღი!

შენ გვალვისგან იხსენ მიწა,
მწვანე ჯეჯილს რძეს აგემებ
და მოსკოვში თავმომწონედ
შეაცურებ ხომალდ-გემებს!
კარგად იცი—ვრცელ მინდვრებზე,
სადაც ახლა მიმდინარებ,—
ბრძოლა ჰქონდათ ურდოებთან
თავდადებულ იმ ჩვენს მამებს!
მათი სისხლით შეიღება
ეგ მიდამო და ის ყანა;
მაშინ წითლებს წინ უძღოდა,
დღეს ვინც შენ აქ მოგიყვანა!

ისიც გახსოვს: აქ ჰიტლერმა
ჯარი მზაკვრულ მოგვაყარა;
არ დაინდო ყრმა და ბავშვი
და დედების სისხლი ღვარა!
განადგურდა ის ვერაგი,
მტერმა ძვლები აქ ჩაყარა!
შენ კი აღსდეგ! დღეს ბიბინებს
შენი მდელო, შენი ყანა!
და მაშინაც წინ გგიძღოდა,
დღეს ვინც შენ აქ მოგიყვანა!

თქვა ბელადმა, და გაიჭრა
ვოლგა-დონის დიდი არხი...
და მოდიხართ ერთად, ძმურად,
როგორც ჩვენი ქვეყნის ხალხი!

ჩვენ ვაშენებთ—გვინდა სიტკბო!
ჩვენ ვაშენებთ—გვსურს მშვიდობა!
ვაი იმას, ვინც ცეცხლს აჩენს,
ვინც გაბედავს ჩვენთან მტრობას!..

ზღაპრებშიაც ჯერ ართქმული,
არნახული მინდა გნახო,
სიხარულით შემოვძახო:
შენ ამაღლდი, შენ გაბრწყინდი!
შენ, ლენინის სამახსოვროდ,
ვოლგა-დონის დიდო არხო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეავტომობილეები კვალიფიკაციას იმაღლებენ

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები და სტახანოველები განუწყვეტლივ იმაღლებენ კვალიფიკაციას, სულ უფრო წარმატებით ეუფლებიან ავტომშენებლობის ურთულეს ტექნიკას.

ქარხნის დირექციამ სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანაში 80-მდე მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი მიავლინა. იქ მათ დიდი გამოცდილება შეიძინეს.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ წარმატებით სწავლობს ქარხნის მრავალი მუშა და ოსტატი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მეცადინეობს 133 კაცი, ქუთაისის ავტო-მექანიკური ტექნიკუმის საღამოს განყოფილებაზე — 140, ხოლო ქარხანასთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში— 225 კაცი.

მიმდინარე წლის 5 თვეში ქარხნის საამქროებში ტექნიკური მომზადება გაიარა 190-მდე ახალგაზრდა მუშამ. მათი უმრავლესობა ახლა გაცილებით უფრო მაღალი მაჩვენებლებით ასრულებს გეგმას. მაგალითად, მღარავი ს. ჟორჟოლიანი, ხარატები ო. კოხრეიძე, ა. აბრამოვი და სხვები ახლა 1953 წლის ანგარიშში მუშაობენ.

სუხუმის მთა. ტყე-პარკის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო გ. კვირკველიასი.

საქართველოს ქალაქები

ქალაქი-ბაღი სუხუმი კომუნიზმის ნათელ გზაზე

— ქალაქი-ბაღი, შავი ზღვის სანაპიროს თვალმარგალიტი — ასე ეძახიან სუხუმს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მშრომელები. ეს სახელი ქალაქმა სუხუმმა სავსებით სამართლიანად დაიმსახურა. ცხოვრების წინსვლასთან ერთად არსებითად შეიცვალა, უფრო წარმტაცი და მიმზიდველი გახდა სუხუმი. სადღა არის ვიწრო, ტეტრიანი, ოღრო-ჩოღრო, ტალახიანი ქუჩები. ქალაქი დაამშვენა ფართო მაგისტრალებმა, ხეივნებმა... იქ, სადაც წინათ ტალახის გუბეები იდგა, ბაღები, პარკები და სკვერები გაშენდა, ტროტუარების გაყოლებით დაიერგო სხვადასხვა ჯიშის მრავალი მცენარე.

სინათლე არ ყოფნიდა სუხუმს — მშრომელებმა მდინარე გუმისთა მთებიდან მთებში გადააგდეს, მისი ტალღები ციცხლად აქციეს, მავთულებით შემოიყვანეს სუხუმის ქუჩებში, და ახლა ნახეთ, როგორ კაშკაშებენ მრავალრიცხოვანი ლამპიონები, როგორ ემსახურება გუმისთაში დაბადებული ელექტროენერგია სუხუმელ მშრომელთა კულტურულ ცხოვრებას.

შესაფერი სასმელი წყალი არ ჰქონდა სუხუმს—ახლა გასინჯეთ ახალი წყალსადენის მაგისტრალით ქალაქში შემოყვანილი სუფთა წყაროს წყალი. რა ცივია, ანკარა და საღი!..

ისტორიას ჩაბარდა ეტლები, დილიჟანები—სუხუმის ქუჩებში დაჰქრიან კომფორტული ავტობუსები, ტაქსები, მრავალრიცხოვანი მსუბუქი ავტომანქანები.

ვის არ მოხიბლავს ქალაქის ცენტრალურ ადგილას აღმართული შესანიშნავი ბაქანი, რომელიც დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს ატარებს. რა დიდი გემოვნებით არის შესრულებული ეს მსუბუქი, სადა, მაგრამ მრავალმხრივ შესანიშნავი შენობა თავისი მოედნებით, კიბეებითა და ლამპიონებით.

განა ქალაქის მშვენება არ არის საზაფხულო თეატრის შენობა, მისი ლამაზი ორნამენტებით, გაჩირაღდნებული დარბაზით, კარგად მოწყობილი სცენით, ვესტიბიულით?..

იზრდება სუხუმი, სიგრძე და განი არ ჰყოფნის. მთას მიადგნენ სუხუმელები და დაიმორჩილეს, მდინარეს გადაუდგნენ და ხან გეზს უცვლიან, ხან რკინა-ბეტონის არტახებში ამწყვდევენ... მზისა და ზღვისათვისაც ხარკი დაუდვიათ, აიძულებენ ემსახურონ მშრომელი ხალხის ჯანმრთელობას.

თვალწარმტაცია სუხუმი ღამითაც. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალაქ-ბაღის კარიბჭესთან გაწოლილი შავი ზღვა მშვიდად სუნთქავს, მოლივლივე ტალღებს გულ-მკერდს უსერავენ ელექტრონათურების ნათელი ისრები.

...იმ საღამოს გემმისადგომთან ორი გიგანტი იდგა. ბორგავდნენ ისინი. ვერ იტანდნენ დედამიწის სიახლოვეს, დედა-ზღვისაკენ სურდათ გაჯირითება, ტალღებთან შებმა.

შავი ზღვა ოდნავ არხევდა უზარმაზარ გემებს „როსიასა“ და „პობედას“. ისმოდა ტალღების დგაფუნი. გემების ფანჯრებიდან ელვარებდნენ ელექტროსათურები. შორს, ზღვის მკრთალ სივრცეში ირხეოდნენ ანძები და გემების სილუეტები.

სუხუმის საქალაქო საბჭოს შენობის კოშკზე საათის დიდმა ზარმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა. ბაღებში, მოედნებზე, მარადმწვანე სანაპიროზე, გემმისადგომზე გაისმა მშობლიური სიტყვები სახელმწიფო ჰიმნისა:

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო!“.

* * *

ქალაქის მთავარი არქიტექტორის კაბინეტის ერთი კედელი სუხუმის პერსპექტივულ გეგმას დაუფარავს. მესამე სტალინური ხუთწლედის პირმშოა ეს გეგმა. აკვირდებით მას, ეცნობით სუხუმის მშრომელთა პატრიოტულ საქმიანობას და თქვენს თვალწინ იშლება გიგანტური მშენებლობები, რომლებმაც შორს მოიტოვეს არა მარტო ძველი სუხუმისათვის დამახასიათებელი გარემო, არამედ წინათ შედგენილი ეს პერსპექტივული გეგმაც.

ძნელია ჩამოთვალო ყოველივე ის, რაც სუხუმში გაკეთდა ამ უკანასკნელ წლებში. მარტო ისიც კი, რაც შარშან შეიქმნა, ნათელ წარმოდგენას იძლევა სუხუმელი ბოლშევიკების ფართო ინიციატივასა და თავდადებულ შრომაზე. შარშან, პირველი მაისის დღესასწაულისათვის დამთავრდა შესანიშნავი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ლენინისა და სტალინის ქუჩების კუთხეში. ეს სახლი გამოირჩევა არქიტექტურული გააზრებით. მისი ყველა ბინა ნათელი და მზიანია. მსუბუქი, სადა და მიმზიდველია შენობის ორივე ფასადი, რომლებიც ორგანულად ეხამიან მარადმწვანე და კეკლუც გარემოს.

მშენებლებმა 1951 წლის აპრილში ხარაჩოები მოხსნეს შესანიშნავად მოპირკეთებულ სამსართულიან საცხოვრებელ სახლებს სოჭის ქუჩაზე. არქიტექტურულად საუცხოოდ დაპროექტებულმა ახალმა სახლმა დაამშვენა აგრეთვე ორჯონიკიძისა და კიროვის ქუჩების კუთხე.

შარშან დამთავრდა ქუთაისის ქუჩის, მისი მთიანი ნაწილის სრული რეკონსტრუქცია. რა თვალწარმტაცია ახლა ბაზალტის ქვით მოპირკეთებული განიერი კიბე, ჩუქურთმებიანი მოაჯირები, ლამპიონები, პალმები, მიმოზები, ყვავილნარები.

1951 წლის 9 მაისს საზეიმოდ გაიხსნა ქალაქ სუხუმის მშვენება — ბესლეთის ახალი ხიდი. ეს არის არქიტექტურულად გრწყინვალედ გადაწყვეტილი მონუმენტური ნაგებობა. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორი ზ. თავართქილაძე და ინჟინერ-კონსტრუქტორი მ. ბუკა. ხიდი ერთთაღიანია, მოპირკეთებულია გრანიტით, თუჯის მოაჯირები დამშვენებულია ქართული ეროვნული სტილის ჩუქურთმებით. გამოირჩევა ხიდის ფართო სამგზავრო ნაწილი და კარგად მოწყობილი ტროტუარები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტოტრანსპორტისა და მგზავრების შეუფერხებელ მოძრაობას.

ბესლეთის ხიდი, რომელიც დამშვენებულია ლამაზი ობელისკებითა და ლამპიონებით, ქალაქ სუხუმს აკავშირებს თბილისის გზატკეცილთან.

1951 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში დამთავრდა საქართველოს გზატკეცილის გაყოლებით მცენარეების რგვა ექვსნახევარ კილომეტრ მანძილზე. გაიკვლის წლები, და ქალაქ-ბაღის ამ ერთერთ შესანიშნავ მაგისტრალს დაამშვენებს კაკლის ხეების ულამაზესი ხეივანი.

1951 წელს მშრომელთა სამსახურში ჩადგა რკინიგზის სუხუმის ვაგზლის ახალი მონუმენტური შენობა.

პროექტის ავტორები არიან ახალგაზრდა არქიტექტორები და-ძმა ლოლა და ლევან მუშკუდიანები.

ვაგზლის შენობა მოპირკეთებულია ადგილობრივი თეთრი ქვით. ამავე ქვაზეა ამოჭრილი ქართული სტილის ორნამენტები და ჩუქურთმები, რომლებიც შესრულებულია სახელოსნო სასწავლებელში აღზრდილი ახალგაზრდა ჩუქურთმისმჭრელების — ო. ბაღაშვილის, ე. მაჩაიძისა და ნ. ფირცხელაურის მიერ. შენობის ლამაზად ჩამოქნილ სვეტებს ამშვენებს სვანეთის მარმარილო.

ვესტიბიულის თავზე აღმართულია 23 მეტრი სიმაღლის კოშკურა, რომელზეც ბრწყინავს ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

* * *

1951 წლის პირველი მაისი განსაკუთრებით სასიხარულო თარიღია სუხუმისათვის. ამ დღეს დიდი ზეიმით აღინიშნა სუხუმის მთაზე ტყე-პარკის გახსნა. ტყე-პარკის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა. 1951 წლის დასაწყისში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მოწოდებას — გავაშენოთ ტყე-პარკი სუხუმის მთაზე! — განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ არა მარტო სუხუმელები, არამედ აფხაზეთის ყველა მშრომელი. ტყე-პარკი გამოცხადდა სახალხო მშენებლობად. სამუშაოდან თავისუფალ საათებში აქ დიდი ენთუზიაზმით შრომობდა ყველა სუხუმელი—მუშა-სტახანოველი და ინჟინერ-ნოვატორი, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკი, ექიმი და მასწავლებელი, პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო დაწესებულებების, კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკები.

მშრომელთა პატრიოტულ ლაშქრობას სათავეში ჩაუდგნენ პარტიული ორგანიზაციები. მთელმა სუხუმმა, მისმა ჯანსაღმა და ინიციატივიანმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყველა მშრომელმა სახელისა და დიდების საქმედ გამოაცხადეს ტყე-პარკის გაშენებაში აქტიური მონაწილეობა.

მთისკენ დაიძრნენ მშრომელები... დინამიტმა დაიქუხა... მანქანები აგუგუნდნენ. გაჩაღდა ნამდვილი სახალხო შრომა. ერთდროულად შენდებოდა კოლონადები, შენობები, მრავალსაფეხურიანი კიბეები, იჭრებოდა მიხვეულ-მოხვეული გზები, კეთდებოდა მოედნები, ხეივნები, ყვავილნარები, გაზონები. მშრომელებმა მთის მწვერვალებზე და კალთებზე აიტანეს და დარგეს მრავალწლიანი კაკლის ხე, სხვადასხვა სახის ფიჭვი, კედარი, სოჭი, წაბლი, ქართული ნაძვი, ვერცხლისებური ნაძვი, ურთხმელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ჭადარი, მარადმწვანე მუხა, კორპის მუხა, მუშმალა, დაფნა, ქაფურის ხე, წყავი, ტიტას ხე, ქოქოსისა და ჩინური მარაოსებრი პალმები, სექვოია, დიდყვავილა მაგნოლია, ფეიხოა, სურნელოვანი ზეთის ხე, ოლეანდრი, პიტოსპორუმი, კამელია, ლუზიტანიური ალუბალი, პოდოკარპუსი, ამბრის ხე, ფშატი, გარდენია, სურნელოვანი ძახველი, კომპაქტური თუია, იუკაბი, აგავა, აზალია, ბზა, ისამანი და მრავალი სხვა მცენარე. აქ წარმოდგენილია თითქმის მთელი სუბტროპიკული და ჩრდილოეთის ფლორა.

სუხუმის ტყე-პარკი 32 ჰექტარზეა გადაშლილი. ერთი შეხედვით თითქოს არც ისე დიდი ფართობია, მაგრამ გენახათ მისი მკვეთრად დასერილი რელიეფი, ზოგან მიუვალი კლდე-ღრეები, ძნელად მისადგომი სამშენებლო უბნები, გენახათ, როგორ მოჰქონდათ სუხუმელ ენთუზიასტებს მრავალწლიანი ცოცხალი ხეები და რგავდნენ რელიეფთან შეფარდებით, და იგრძნობდით იმ სიმთელეს, რომელიც მუშაობის დაწყებიდანვე გადაეღობა ტყე-პარკის მშენებლებს.

მაგრამ სიძნელეთა წინაშე ქედი როდი მოიხარეს მშენებელმა ენთუზიასტებმა. ბუნებრივ დაბრკოლებებს ბოლშევიკური სიმტკიცით შეუტიეს. მათი მიზანი ერთი იყო: მოკლე დროში—1951 წლის 1 მაისისათვის დაემორჩილებინათ საუკუნეების მანძილზე თვითნებაზე მიტოვებული სუხუმის მთა, აეძულებინათ იგი ლაღად გადაეშალა გულ-მკერდი ბედნიერი საბჭოთა ადამიანებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, სახალხო მშენებლობის ინიციატორებად პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები გამოდიოდნენ. მათ მხარდამხარ მიჰყვებოდა ახალი მშენებლობით აღფრთოვანებული სუხუმის ყველა მშრომელი. მალე ტყე-პარკი დაისერა ლამაზი გზებით, მრავალსაფეხურიანი კიბეებით, კეკლუცი მოედნები დამშვენდა აუზებით, ლამპიონებითა და შადრევნებით. სრულიად შეიცვალა მთის რელიეფი, ციცაბო კლდეების, ნიაღვრით ჩამორეცხილი ზეგანების ნაცვლად მშრომელებმა გაშენეს თვალწარმტაცი გაზონები, ყვავილნარები, ხეივნები...

საღამო ჟამს, როცა ელვარე მზე მოლივლივე შავ ზღვაში ჩაკეცდება, ტალღებში ჩაძირავს თავის ცხოველმყოფელ სხივებს და ცის ტატნობსაც ალისფერად შეღებავს, რა შეედრება მაშინ სუხუმის მთას!... ელექტრონათურები ზღაპრულ ფერებად აციმციმდებიან ხეივნებში,

გეგეჭკორელმა მეჩაიეებმა თავი უნდა დაალწიონ ჩამორჩენას

ჩაი წამყვანი კულტურაა გეგეჭკორის რაიონში, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ძირითადი წყაროა. რაიონმა წელს ქვეყანას უნდა მისცეს ხუთ მილიონზე მეტი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მიუხედავად ამ საპასუხისმგებლო ამოცანისა, ჩაის კრეფის ტემპი არადამაკმაყოფილებელია და, თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ჩაის დამზადების წლიური გეგმის შესრულება საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ჩაის ფოთოლი ახლა კარგად არის შემოსული, მაგრამ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყველა შესაძლებლობას ვერ იყენებენ ჩამორჩენის გამოსასწორებლად, ფოთლის გაუზეშების თავიდან ასაცილებლად.

სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც შედარებით კარგად მოვლილი ჩაის პლანტაცია აქვს, ჩაის კრეფის წლიური გეგმა რომ შეასრულოს, საჭიროა ყოველდღიურად 7-8 ტონა ფოთოლი მოკრიფოს. მაგრამ აქ შრომის რესურსებს უნარიანად ვერ იყენებენ, ფაქტიურად დღეში 3-3,5 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფენ. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე არ არის ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში, ზოგი სამუშაოს ცუდად ასრულებს. 17 და 18 ივლისს მკრეფავები სრული დატვირთვით არ მუშაობდნენ, ბევრი გვიან გამოვიდა სამუშაოზე. მეხუთე ბრიგადის პირველი რგოლიდან (ხელმძღვანელი გ. ხაინდრავა) მხოლოდ ორი მკრეფავი გამოვიდა სამუშაოდ და მათ ერთ დღეს 10 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. სისტემატურად არ კრეფენ ჩაის ფოთოლს სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის, დიდიჭყონის ბერიას სახელობისა და სხვა მრავალ კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობებში ხშირად ირღვევა ჩაის ფოთლის კრეფის წესები. სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადის სტახანოვურ ნაკვეთზე კოლმეურნეები—დ., ნ. და თ. ფუტკარაძეები და მ. ქიქავა ჩაის ფოთოლს კალთებში კრეფდნენ. ასევე ხშირად არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის წესებს სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის, ბანძისა და მუხურჩის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში. აქ ხშირად შემოუსვლელ დუყებს კრეფდნენ, რაც ამცირებს მოსავლიანობას. კოლმეურნეობებს აკლიათ კალათები.

ზოგან არ აფასებენ პლანტაციების მოვლის ღონისძიებათა დროულად განხორციელებას. სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში, ამავე სოფლის კოლმეურნეობა „მშრომელში“ და ნაწილობრივ ნაჯახაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები აგროწესების დაცვით არ არის დამუშავებული.

სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადაში ირღვევა ფოთლის გადაზიდვის წესი, ბრიგადის ფარდულში ჩაის ფოთოლი ხშირად მიწაზე ყრია სქელ ფენებად, უგზოობის გამო გვიანდება მისი ჩაის მიმღებ პუნქტებში, ხოლო შემდეგ ფაბრიკებში გადაზიდვა და გადამუშავება.

ჩაის პლანტაციების დამუშავებასა და კრეფის დარგში ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ აქ ვერ ათავსებენ სამეურნეო და პოლიტიკურ მუშაობას, რაკომი მხედველობიდან უშვებს მთავარს—პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მასებში. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. არ აწყობენ მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების განზოგადებას. აგიტატორები ხშირად სულ არა ჰყავთ გამოყოფილი, ხოლო ზოგჯერ ამ საპატიო მოვალეობას ამ საქმით დაუინტერესებელ ადამიანებს ანდობენ. სოფელ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის, ნაჯახაოს ლენინის სახელობის, თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებში და თამაკონის კოლმეურნეობა „მშრომელში“ ჩაშლილია საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უგულებელყოფამ სოფელ თამაკონის კოლმეურნეობა „მშრომელი“ დიდ ნაკლოვანებებამდე და ჩავარდნამდე მიიყვანა. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, მოუვლელია ჩაის პლანტაციები, მოუგვარებელია ფოთლის გადაზიდვა დაშორებული პლანტაციებიდან სოფელ თამაკონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ ჩაის მიმღებ პუნქტამდე. აქ ხშირად უზიანდებათ მოკრეფილი ჩაის პირველი ხარისხის ფოთოლი, რასაც მიმღები პუნქტი მხოლოდ გადარჩენის შემდეგ იღებს. ამიტომაც არის, რომ ივნისში მოკრეფილი ხუთი ტონა ჩაის ფოთლიდან ორი ტონა მეორე ხარისხისა იყო.

სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული ჩაის მიმღები მეორე პუნქტიდან (გამგე ნ. ოკუჯავა) ზოგჯერ გვიანდება ჩაის გადაზიდვა დიდი ჭყონის ჩაის პირველ ფაბრიკაში. 19 ივლისს, საღამოს 5 საათისათვის პუნქტიდან 966 კილოგრამი ჩაი გადატანილი არ იყო ფაბრიკაში. ამ პუნქტის გამგე ხშირად არღვევს ჩაის მიღების წესებს, თავის დროზე არ აძლევს კოლმეურნეობებს ჩაის ჩაბარების ქვითრებს. არის შემთხვევები, რომ ჩაი დაგვიანებით გადაქვთ ლეხაინდრაოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული ჩაის მიმღები პუნქტებიდან.

პარტიის გეგეჭკორის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უფრო ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ხელიდან არ გაუშვან ჩაის ფოთლის დამზადების საუკეთესო დრო, აღკვეთონ უპასუხისმგებლობა დამოკიდებულება ამ საქმისადმი.

ე. მამალაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სუხუმი. თბილისის ახლადრეკონსტრუირებული გზატკეცილის ხიდი. ფოტო ა. ციბინასი.

კოლონადებსა და მთავარ აუზში, ცისარტყელას შემოავლებენ შადრევანის შხეფებს, ნათელ სხივებად დაეფრქვევიან ტყე-პარკში სასეირნოდ გამოსულ ადამიანებს და... იხატება ნამდვილი ხელოვნებისმქნელი სურათი ბუნების სიდიადისა და სილამაზისა, ცხოვრების სიმშვენიერისა და აღმაფრენისა.

სუხუმის ტყე-პარკი გამოირჩევა თავისი ხელსაყრელი მდებარეობით. აქედან იშლება ქალაქ-ბაღის — სუხუმის, უსაზღვრო ზღვის სივრცის, აღპური მინდვრების თვალწარმტაცი ხედი; აქედან მოჩანს არა მარტო მახლობელი მინდვრები, ბაღები, ხეობები, ხან მოლივლივე და ხან გააფთრებული შავი ზღვა, არამედ აქედან იწყება უდიდესი და მრავალფეროვანი პანორამაც შავი ზღვის სანაპიროდან მარად თოვლიან-ყინულოვანი კავკასიონის ქედამდე.

მთელი ქართველი ხალხის სიამაყეა ტყე-პარკი — სუხუმის მთა.

1951 წლის 14 მარტი ქალაქ სუხუმის ისტორიაში შევიდა, როგორც მისი ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელი; დაიწყო სუხუმის სახელმწიფო თეატრის მშენებლობა.

„დიდმა სტალინმა, — წერდა თავის სტატიაში ამხანაგი ა. ი. მგელაძე,—რომელიც გადატვირთულია უდიდესი სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობით, მონახა დრო იმისათვის, რომ ყურადღება მიექცია ქალაქ სუხუმისათვის, სუხუმის დრამატული თეატრისათვის. ამის შეგნებამ აღავსო ყველა სუხუმელის გული უდიდესი სიხარულისა და უღრმესი მადლიერების გრძნობით მშობლიური, მხურვალედ საყვარელი ბელადისადმი.

მოუთხრობენ რა ერთმანეთს დაწყებული მშენებლობის შესახებ, სუხუმელები ამბობენ:

— ჩვენ არ გვქონდა ქალაქ სუხუმის შესაფერი დრამატული თეატრის შენობა, ახლა იგი გვექნება. შეიძლება ითქვას, რომ იგი გვაქვს, ვინაიდან თუ კი სტალინმა თქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეც იქნება.

სუხუმელები ყოველთვის მადლიერებით გაიხსენებენ იმას, რომ თეატრის მშენებლობა დაწყებულია ამხანაგ სტალინის ინიციატივით და ხორციელდება მისი პირადი დახმარებით“.

მას შემდეგ გავიდა მხოლოდ ერთი წელი და სამიოდე თვე. მშენებლებმა, რომლებიც გარემოსილი იყვნენ ყველა მშრომელთა მხარდაჭერით, მთელი თავიანთი შემოქმედებითი ენერგია, დაუშრეტელი ინიციატივა ჩააქსოვეს პრაქტიკულ საქმიანობაში, რომ უზრუნველეყოთ 1952 წლის მესამე კვარტალში თეატრის მშენებლობის დამთავრება.

ახლა შეიძლება ითქვას, რომ სუხუმელ მშრომელთა მიზანი განხორციელებულია. ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ 1952-1953 წლების თეატრალური სეზონი ახალ შენობაში გაიხსნას.

დავთვალიერეთ ქართული საბჭოთა ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი (პროექტის ავტორია არქიტექტორი მიხეილ ჩხიკვაძე).

პირველად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქართული ეროვნული არქიტექტურის ძვირფასი ნიმუშები — ჩუქურთმები, ორნამენტები, რომლებიც ქვებზეა ამოკვეთილი და ამშვენებს როგორც შენობის ფასადს, კარებისა და ფანჯრების ჩარჩოებს, ისე ოთახებს, ვესტიბიულსა და მაყურებელთა დარბაზს. შენობა მოპირკეთებულია გრანიტითა და კირქვით. თეატრის მთავარი შესასვლელი გაფორმებულია დიდი პორტალით, მხატვრული ვიტრაჟით, რომელიც ორგანულად ეხამება მონუმენტურ კედლებს, ქვებზე ფაქიზად გამოთლილ ჩუქურთმებს.

გავყვეთ მთავარ შესასვლელს.

მაყურებელი შედის მთავარ ვესტიბიულში. აქედან იწყება მარმარილოს ორი პარადული კიბე, რომლებიც მიემართება ნათელი და ლამაზად მოწყობილი ფოიესაკენ. ფოიე, რომელსაც ორიარუსიანი კოლონადა აქვს, მთავრდება ქართული „დარბაზის“ ტიპის გადახურვით. მას დაამშვენებს რბილი სავარძლები, განიერი სარკეები და, რაც მთავარია, ორიგინალური განათება. ფოიედან მაყურებელს შეუძლია გავიდეს დარბაზის რგოლისებურ კულუარებში.

მთავარ დარბაზს, რომლის ჭერი მოპირკეთებულია ვარსკვლავისებური თაღით, აქვს პარტერი და ორი იარუსი, ლოჟები და ამფითეატრი. ისინი დაიტევენ 750 მაყურებელს. მაყურებელთა დარბაზის ლამაზ თაღს, რომელიც გამოირჩევა თვალწარმტაცი ჩუქურთმებით, კიდევ უფრო დაამშვენებს დიდი მხატვრული ჭაღი, ხოლო კედლებზე, ლოჟებთან, იარუსებთან ლამაზად შეხამებული შანდლები დამატებით შუქს მიაწვდიან დარბაზს.

სცენა მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, აქვს მბრუნავი წრე და ამწევ-დამწევი მექანიზმები, სინათლის სხვადასხვა აპარატები, გადასასვლელი ბოგირები.

სუხუმის დრამატული თეატრის მშენებლობაზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქვაზე ჩუქურთმის ამომჭრელმა თ. იაშვილმა, ათისთავმა ბ. თევზაძემ, შემლესავთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, კომუნისტმა ნ. მიგუშკინმა, ხელოვნური მარმარილოს ოსტატმა ი. ზლიდენმა.

სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა ქალაქ-ბაღის—სუხუმის ნამდვილი მშვენება იქნება.

* * *

1951 წლის 9 მაისს, ბესლეთის ხიდის საზეიმოდ გახსნისას, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მშრომელთა წინაშე კვლავ დააყენა ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობის ახალი საბრძოლო ამოცანები. ერთ-ერთი ასეთი ამოცანა იყო ბესლეთის ხიდის მისადგომი ადგილების კეთილმოწყობა და გამწვანება, აგრეთვე თბილისის გზატკეცილის რეკონსტრუქცია და გამწვანება ბესლეთის ხიდიდან მდინარე კელასურამდე.

ამ სიახლესაც სუხუმელები პატრიოტული აღფრთოვანებით შეხვდნენ. ვისაც ერთი წლის წინათ უნახავს თბილისის გზატკეცილი, ახლა ვეღარ იცნობს მას. რამდენი ოროჩოღრო, ნიაღვრით მინგრეულ-მონგრეული ადგილები ამოუვსიათ და მოუსწორებიათ; რა ლამაზი ხეივნები, გაზონები და ყვავილნარები გაუშენებიათ, როგორ მოურთავთ მწვანე სამოსელში გაწოლილი, სწორი და განიერი გზატკეცილი ლამპიონებითა და კოლონადებით!

ორიოდე წლის წინათ მხოლოდ საქალაქთაშორისო ტრანსპორტისათვის განკუთვნილი გზატკეცილი ახლა მშრომელთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებებსაც ემსახურება. აქ განუწყვეტლივ დასრიალებენ მსუბუქი ავტომანქანები, ტაქსები, სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის მიერ გამოშვებული კომფორტული ავტობუსები.

სუხუმელებმა ოთხნახევარი კილომეტრის სიგრძის გზატკეცილის სრული რეკონსტრუქცია მოახდინეს, მის სამხრეთ მხარეზე განლაგებულია კედარების ხეივანი, ხოლო ჩრდილოეთი ნაპირი დამშვენებულია მრავალწლიანი ფიჭვებით. მარადმწვანე ხეთა მწკრივები ამშვენებს გზატკეცილის ტროტუარებსაც. გზის ფართო სამგზავრო ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ტრანსპორტისათვის, ტროტუარებისაგან გამოყოფილია გაზონებით. ოლეანდრი, პიტოსპორიუმი, სხვადასხვა ჯიშის ვარდი საუცხოოდ შეეთვისნენ ახალ გარემოს. გზატკეცილის გასწვრივ, ახლად მოწყობილი პლაჟისა და რკინიგზის კელასურის სადგურის პირდაპირ გაშენებულია შესანიშნავი სკვერები.

თბილისის გზატკეცილის მთელ ტერიტორიაზე გამწვანებულია თხუთმეტი ჰექტარი ფართობი, დარგულია ორმოცდაათი სახის ორმოცდარვა ათასი ძირი მცენარე.

კილომეტრზე მეტი სიგრძის კარგად მოწყობილი პლაჟი ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობას. მას აქვს ხუთი განყოფილება, რომლებიც წელს მოეწყო და უზრუნველყოფილია პავილიონებით, კოსკებით, კაბინებით, ქოლგებით და სხვა აუცილებელი მოწყობილობით.

განსაკუთრებით მიმზიდველია თბილისის გზატკეცილის მოედანი, რომელიც მთავარ მაგისტრალს აერთებს ზღვის სანაპიროსთან. მოედნის ცენტრს ამშვენებს განიერი აუზი შადრევნებით, ლამპიონებითა და ყვავილნარებით. მოედანზე, გზატკეცილის პირდაპირ ყურადღებას იპყრობს არქიტექტურულად საუცხოოდ შესრულებული ორი პავილიონი თავისი ორნამენტებით, ჩუქურთმებიანი სვეტებით, თეთრი ქვის კიბეებითა და მოაჯირებით.

გზადაგზა მარადმწვანე განიერი ქუჩა თეთრი კიბეებით უერთდება შავი ზღვის სანაპიროს. აქ არა მარტო სუხუმელი მშრომელები, არა მარტო აფხაზეთის მოსახლეობა, არამედ ვრცელი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოსული სასურველი სტუმრები ტკბებიან ზღვისა და მისი სანაპიროს სიდიადით, ისვენებენ, ფიზიკურად იწრთობიან, რომ კვლავ ახალი, ძლიერი ენერგიით განაგრძონ ხალისიანი შრომა საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიებში, სკოლებში, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე.

დღითიდღე იზრდება, ლამაზდება ქალაქი-ბაღი სუხუმი.

სუხუმსა და მთელ აფხაზეთში სოციალისტური მშენებლობის აღმავლობის სტალინური ტრადიცია, რომელიც წლების მანძილზე მტკიცედ დაინერგა პარტიის საოლქო კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, კვლავ განუხრელად გრძელდება.

მშრომელები აფართოებენ და მწვანე სამოსელით მოსავენ ქალაქ-ბაღის ქუჩებს, მოედნებს, ბაღებს.

კვლავ ბოლშევიკური ტემპით შენდება ახალი ბინები, სახელმწიფო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, სკოლები, ხიდები, მოედნები...

•13 ივნისს რუსთაველის სახელობის პარკში გაიხსნა ახალი საზაფხულო კინოთეატრი. მეორე საზაფხულო კინოთეატრი შენდება სუხუმის მთაზე, მისი მთავარი მწვერვალის სამხრეთ-დასავლეთით. კინოთეატრის შენობა, გარდა იმისა, რომ თავისთავად კეკლუცი ნაგებობა იქნება, ორგანულად შეეხამება ტყე-პარკის საერთო სილამაზეს. კინოთეატრის ეკრანი მოეწყობა სცენის სიღრმეში, რომელსაც საჭიროების დროს ესტრადის მსახიობთა კონცერტებისთვისაც გამოიყენებენ.

მალე გაიხსნება კულტურის სახლის ახალი შენობა ფრუნზეს ქუჩაზე; მშენებლებმა ხარაჩოები ჩამოხსნეს ლენინისა და გულიას ქუჩების კუთხეში აშენებულ სამსართულიან სახლს; მწყობრში ჩადგა შესანიშნავი შენობა—სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი ბერიასა და თეატრალური ქუჩების კუთხეში; ქალაქ-ბაღს მალე დაამშვენებენ ახალი სამსართულიანი შენობები ბერიას ქუჩაზე და სტალინისა და წერეთლის ქუჩების კუთხეში.

და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი სიახლე მოელის ქალაქ-ბაღ სუხუმს!..

თავისი ქალაქის რეკონსტრუქციის, მისი შესანიშნავად კეთილმოწყობის საქმეში სუხუმის ბოლშევიკებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი გამოცდილება დააგროვეს. ეს გამოცდილება ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საქართველოს სხვა ქალაქების მშრომელთა მიერ.

სუხუმელი მშრომელები თავიანთი ქალაქის კეთილმოწყობის უშუალო მონაწილენი არიან. ჩვენი ცხოვრების სწრაფ წინსვლასთან დაკავშირებით ისინი ჭვრეტენ თავიანთი ქალაქის კიდევ უფრო დიად მომავალს. ისინი შემდგომშიც თავდადებით იმუშავებენ ახალი წარმატებებისათვის, ახალი დიდი ამოცანების შესრულებისათვის.

ამ დიდ და საპატიო შრომაში მათ აღფრთოვანებს ბოლშევიკური პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მშობლიური მზრუნველობა ქალაქ-ბაღის—სუხუმის შემდგომი აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის.

ბ. თათარიშვილი.
ქალაქი სუხუმი, ივლისი.

ბერლინის საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლის ს. ა. დენგინის წერილი ბერლინის დასავლეთი სექტორების კომენდანტების კომენდანტებისადმი

ბერლინი, 24 ივლისი. (საკდესი). მიღებული ცნობებით, 1952 წლის 6 და 28 ივნისს ბერლინის დასავლეთი სექტორების კომენდანტებმა ბერლინის საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლის ს. ა. დენგინის სახელზე გაგზავნეს წერილები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო ბერლინის გარერკალის დასაცავად.

1952 წლის 19 ივლისს ს. ა. დენგინმა ბერლინის ამერიკული, ინგლისური და ფრანგული სექტორების კომენდანტებს გაუგზავნა საპასუხო წერილები, რომლებშიც ნათქვამია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებანი ბერლინის გარერკალის დაცვის გასაძლიერებლად „გამოიწვია იმ ჯაშუშური ორგანიზაციების ტერორისტულმა, დივერსიულმა, ჯაშუშურმა და სხვა ძირგამომთხრელმა საქმიანობამ, რომლებმაც თავიანთი ცენტრები გახსნეს დასავლეთ ბერლინში და მოქმედებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ.

სასამართლო პროცესებმა, რომლებიც ამას წინათ მოეწყო ტერორისტული და დივერსიული ბანდების წინააღმდეგ ბერლინში, ცხადყო, რომ დასავლეთი ბერლინი გადაიქცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშობის, დივერსიებისა და პროვოკაციების კერად. ამასთან გამოირკვა, რომ დიდი ბერლინის გარერკალის სათანადო დაცვის უქონლობა ხელს უწყობდა ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობას“.

დასასრულ ს. ა. დენგინმა განაცხადა, რომ, „როგორც ნათქვამია გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებაში, დაცვის ეს ღონისძიებანი დროებითია და გაუქმდება, როცა მიღწეულ იქნება შეთანხმება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შესაქმნელად“.

საბჭოთა კომბაინები ჩეხოსლოვაკიის მინდვრებში

პრაღა, 24 ივლისი. (საკდესი). შარშან ჩეხოსლოვაკიის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სახელმწიფო სოფლის მეურნეობების მინდვრებში გამოვიდა პირველი ათობით საბჭოთა კომბაინი. მომდინარე წლის უხვი მოსავლის აღებაში მონაწილეობას მიიღებს 500-ზე მეტი კომბაინი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გამოგზავნა ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მშრომელთა დასახმარებლად.

კომბაინერები—ახალი, ჩეხოსლოვაკიის სოფლისათვის წინათ უცნობი პროფესიის ადამიანები — სწრაფად ეუფლებიან ახალ მანქანებს. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თხოვნით მათ დასახმარებლად ჩამოვიდა საბჭოთა სოფლის მეურნეობის მექანიზატორების ჯგუფი, მათ შორის სტალინური პრემიის ლაურეატი კომბაინერი ალექსანდრე ოსკინი.

ჩეხოსლოვაკიის კომბაინერთა შორის ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მარცვლის ლეწვაში დიდი გამოსავლიანობისა და უდანაკარგოდ მუშაობისათვის. განსაკუთრებით გაითქვეს სახელი სლოვაკიაში ჩეტვრტოკის, გურბანოვის, ნოვოზამკოვის მტს-ების მექანიზატორებმა. კომბაინერმა იულიუს სლაეკმა „ს-4“ მარკის თვითმავალი კომბაინით უკვე აიღო პურეული 102 ჰექტარ ფართობზე, გალეწა 1.409 ცენტნერი მარცვალი და დაზოგა 776 ლიტრი საწვავი. მასთან შეჯიბრებულმა კომბაინერმა ონდრეი ფარაგომ პურეული აიღო 102 ჰექტარ ფართობზე, გალეწა 1.365 ცენტნერი მარცვალი, აგრეთვე დაზოგა 799 ლიტრი საწვავი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის რეზოლუცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადწყვეტილებათა გადაწყვეტილებათა გამო

ბერლინი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო დოუსელდორფიდან იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობამ საგანგებო სხდომაზე განიხილა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებანი და ამ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა იმ ბრძოლისათვის, რომელიც დასავლეთ გერმანიაში წარმოებს მშვიდობის შენარჩუნებისა და დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის შენებლობისათვის. მრავალი სტუმრის—კომპარტიის სამხარეო, რაიონული და საწარმოო ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით პარტიის თავმჯდომარის მაქს რიმანის მოხსენებისა და ვრცელი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც, ერთძოდ, ნათქვამია:

„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს გერმანიის მუშათა კლასისა და ყველა გერმანელი პატრიოტისათვის მათს ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს მშვიდობის, ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ადენაუერის რეჟიმმა ბონში და დასავლეთ გერმანიაში გაბატონებულმა წრეებმა, გერმანელმა მონოპოლისტებმა და იუნკრებმა „საერთო ხელშეკრულების“ ხელმოწერით უღალატეს გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და გვიჩვენებენ, რომ მათ არა სურთ სახაო ხელშეკრულების დადება და გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება. ბურჟუაზიის წამყვანი ძალები დასავლეთ გერმანიაში ამით ფიხქვეშ თელავენ გერმანელი ერის სასიცოცხლო უფლებებს და ამერიკელ იმპერიალისტებთან კავშირით მზად არიან ახალი ომები დაატეხონ თავს გერმანიას. ამიტომ მთავარი ამოცანაა მთელი პატრიოტული ძალები გაერთიანდნენ ადენაუერის მთავრობის დასამხობად, გერმანელი ერის გადასარჩენად, დემოკრატიულ საფუძველზე საბჭოთა ხელშეკრულებისა და გერმანიის ერთიანობის მისაღწევად. მხოლოდ ამით იქნება გარანტირებული ჩვენი ხალხისათვის ეროვნული ერთიანობა, დემოკრატია და დამოუკიდებლობა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადწყვეტილება, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყოს სოციალიზმის შენებლობა, უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს დასავლეთ გერმანიის მუშებში. ეს ისტორიული გადწყვეტილება პოზიციებს განუმტკიცებს მუშათა კლასს დასავლეთ გერმანიაშიც როგორც წამყვან ძალას ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, უცხოელი და გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც სურთ გადაქცევა დასავლეთი გერმანია ამერიკის პროტექტორატად და „საერთო ხელშეკრულებისა“ და პარიზის სამხედრო შეთანხმების საშუალებით გადააქცევნ იგი ევროპაში ამერიკის ომის და გერმანელთა შორის სამოქალაქო ომის გაჩაღების მთავარ ბაზად“.

„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადწყვეტილებანი, — ნათქვამია გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის რეზოლუციაში,—მძლავრი სტიმული იქნება დასავლეთ გერმანიაში მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობის დამყარებისათვის, კომუნისტი, სოციალ-დემოკრატი, ქრისტიანი და უპარტიო მუშების ერთობლივი ბრძოლისათვის მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, დემოკრატიული და სოციალური უფლებების მოსპობის წინააღმდეგ, სამხედრო დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ. ახლა საქმე ეხება იმას, რომ უწინარეს ყოვლისა ობიექტური, მაგრამ პრინციპული დისკუსიით განვუმარტოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებსა და ფუნქციონერებს ორივე გზა: დასავლეთ გერმანიის გზა, რომელსაც დაღუპვა მოჰყვება და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გზა, რომელსაც მოჰყვება ხალხის მასების აღმავლობა და კეთილდღეობა. ჩვენ უნდა ცხადვყოთ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და პროფკავშირების მემარჯვენე ლიდერები გერმანიის მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ და რომ ისინი იმპერიალისტური ძალების ბანაკში გადავიდნენ. ჩვენ უნდა ცხადვყოთ, რომ მხოლოდ მუშათა ერთიანი ბრძოლით, მოქმედების ერთიანობის შედეგად და მთელ სხვა პატრიოტულ ძალებთან თანამშრომლობით უაღრესად სხვადასხვა პარლამენტსგარეშე მოქმედების — გაფიცვების, მიტინგების, დემონსტრაციების საშუალებით — შეიძლება ხელი შევუშალოთ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ რატიფიკაციასა და განხორციელებას და მივაღწიოთ ადენაუერის მთავრობის დამხობას“.

შემდეგ რეზოლუციაში კომუნისტების წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანები ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და აღნიშნულია, რომ საჭიროა ფართოდ გავაცნოთ პარტიის წევრებსა და ყველა მშრომელს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის II კონფერენციის გადწყვეტილებანი.

ქაქ დიუკლოს განცხადება

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ქაქ დიუკლო თავისი ადვოკატების თანხლებით გუშინ მივიდა მართლმსაჯულების სასახლეში, სადაც მას დაუბრუნეს პორტფელი, რომელიც 28 მაისს ღამით მოპარეს პარიზის მე-10 ოლქის პოლიციის კომისარიატში. დიუკლოს კითხვაზე, რატომ არ არის პორტფელში მისი უბის წიგნაკი, იუსტიციის მოხელემ უპასუხა: „ჩვენ ნაბრძანები გვაქვს არ დაგიბრუნოთ იგი“ მაგრამ დიუკლოს მტკიცე მოთხოვნით უბის წიგნაკი მოუტანეს და აჩვენეს მას.

შემდეგ ქაქ დიუკლო წავიდა სასამართლო გამომძიებელ გოლტისთან, რომელსაც დავალებული აქვს გამოიძიოს დიუკლოს საჩივარი იმის გამო, რომ ამერიკის საგენტომ და ზოგიერთმა გაზეთმა გამოაქვეყნეს მისი უბის წიგნაკის ამონაწერები.

გამომძიებლის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ ქაქ დიუკლომ პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადა:

„მე მოვაგონე გამომძიებელს, რა პირობებში მომპარეს პორტფელი 28 მაისს ღამით მე-10 ოლქის პოლიციის კომისარიატში.

თუმცა ბრიუნი ამას უარყოფს, უნდა ითქვას, არცთუ ისე დამაჯერებლად. იგი სწორედ 28 მაისს საღამოს მოვიდა კომისარიატში. ის ნახა ჩემმა თანმხლებმა გოსანმა, და ბრიუნი, უეჭველია, კომისარიატში იმყოფებოდა იმ დროს, როცა მე პორტფელი მომპარეს.

როგორც ჩემი დოსიეს მე-10 ნაწილიდან ჩანს, ეს პორტფელი მხოლოდ 29 მაისს დილით მოიტანეს და მხოლოდ მაშინ დალუქეს იგი. 28 მაისს ღამით გადაიღეს ჩემს პორტფელში არსებული ქაღალდების პირი ან პირი ფოტოსურათი...“.

„ამ პირობებში, — განაგრძო ქაქ დიუკლომ, — მე სასამართლო გამომძიებელს მოვთხოვე მოუსმინოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბრიუნს და მომიწყოს მასთან დაპირისპირება“.

გაზეთ „ფიგაროს“ ჟურნალისტის კითხვაზე, სადავოდ ხდის თუ არა ქაქ დიუკლო მისი უბის წიგნაკის ამონაწერთა სინამდვილეს, რომლებიც გამოქვეყნდა ზოგიერთ გაზეთში. ქაქ დიუკლომ უპასუხა, ეს ამონაწერები გაყალბებულია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის საგანგებო სხდომა

ბერლინი, 23 ივლისი. (საკდესი). დღეს ბერლინში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის საგანგებო 24-ე სხდომა. სახალხო პალატამ განიხილა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეებში სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაციის კანონის“ პროექტი.

კანონის პროექტის დასასაბუთებლად სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა.

გროტეოლმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეკონომიური პირობები, აგრეთვე მუშათა კლასისა და მეტი წილი მშრომელების შეგნება იმდენად განვითარდა, რომ სოციალიზმის მშენებლობა ძირითადი ამოცანა გახდა.

გროტეოლმა აღნიშნა რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების ძირითადი მომენტები, რომლებიც განსაზღვრავენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის აშენების აუცილებლობას, და განაცხადა:

ეს ფაქტები, რომლებიც გამოარკვია გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ, უეჭველად სავსებით შეესაბამება მუშათა კლასის ინტერესებს, მშრომელი გლეხებისა და ყველა პროგრესულ ადამიანთა უაღრესად ფართო ფენების ინტერესებს. ამას მოწმობს აგრეთვე იმ პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი განცხადება, რომლებიც წარმოდგენილი არიან სახალხო პალატაში. ამიტომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ არა მარტო სახალხო პალატა, არამედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა და მთელი გერმანიის მოსახლეობის ფართო ფენებიც მოიწონებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განზრახვას — დაუყოვნებლივ შეუდგეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებას და გერმანიის ერთიანობისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის ბრძოლასთან ერთად ძირითადი ამოცანა გახადოს სოციალიზმის მშენებლობა.

სახელმწიფო აპარატის შემდგომი დემოკრატიზაციის კანონი, რომელიც წარმოდგენილია სახალხო პალატის დასამტკიცებლად, განაცხადა გროტეოლმა, ემყარება იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურა და მუშაობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღარ შეესაბამება პოლიტიკურ და ეკონომიურ გარდაქმნებს, რაც რესპუბლიკაში ხორციელდება.

ცხადი გახდა, განაგრძო ოტო გროტეოლმა, ჩვენი დემოკრატიული ეკონომიკის უპირატესობა კაპიტალისტური ეკონომიკის წინაშე. სახალხო სეკტორის განვითარებამ, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ჩვენი მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებამ მშრომელები იხსნა ეკონომიური კრიზისებისა და უმუშევრობისაგან და ხელს უწყობს ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას.

მთელი გერმანელი ხალხის ინტერესები, დემოკრატიული გერმანიის ერთიანობისათვის ბრძოლა მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის მწარმოებელი ძალების სწრაფ განვითარებას. ჩვენი გეგმიანი ეკონომიკის განვითარებაში ამჟამად მიღწეული დიდი წარმატებანი მთელი გერმანელი ხალხისათვის ცხადყოფენ, რომ სწორია ჩვენი პოლიტიკა. ომით დაზარალებული მეურნეობის აღდგენა დღეს შეიძლება დამთავრებულად მიჩნეოთ. ახლა დაიწყო ჩვენი მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის აღმავლობა. გეგმიანად წარმართული კანონმდებლობა ფართო შესაძლებლობას სახავს ჩვენი ახალგაზრდობის, ქალების, მრეწველობის მუშების, სოფლის მეურნეობის მუშების, ტექნიკური ინტელიგენციისა და მეცნიერთა საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ეს წარმატებანი აღასტურებენ, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი გზით მივაღწიოთ ერთიან, დემოკრატიულ და დამოუკიდებელ გერმანიაში ცხოვრების ისეთ დონეს, როგორიც ევროპაში ვერ იქნება მიღწეული კაპიტალისტურ გერმანიაში.

ოტო გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გადაჭარბებს ომამდელ დონეს და რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური დახმარების მეოხებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები შეძლებენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეუდგნენ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობას.

გროტეოლმა თავის სიტყვაში აგრეთვე აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი გერმანელი ხალხისათვის, რომელიც იბრძვის თავისი ერის ერთიანობისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

იმ კანონის დახმარებით, რომელიც დღეს წარმოგედგინათ, თქვა შემდეგ გროტეოლმა, უნდა გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი, რათა სახელმწიფო აპარატს მიეცეს ეფექტიანი ძალა და შეესაძლებლობა განვითარებისა, რაც მას ესაჭიროება სოციალიზმის გეგმაშეწონილი მშენებლობის საქმეში თავისი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ამ მიზნით სახელმწიფო აპარატი ისე უნდა მოეწყოს, რომ მან უზრუნველყოს მშრომელთა ნების განხორციელება, გაუწყვეტლივ მიაღებინოს მათ უშუალო მონაწილეობა სახელმწიფო ამოცანების განხორციელებაში და აქტიურად განვითაროს მათი შემოქმედებითი ენერგია.

ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა ხელისუფლების სამხარეო ორგანოები ზედმეტი შუალედური ინსტანციები ხდებიან და აძნელებენ მოსახლეობის ფართო თვითმოქმედების განვითარებას სახელმწიფო აპარატის ქვედა რგოლებში.

სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულება მოითხოვს, რომ სახელმწიფო აპარატი მჭიდროდ დაუახლოვდეს მშრომელ მოსახლეობას, მოითხოვს სახელმწიფო აპარატის შემდგომ დემოკრატიზაციას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეებში. ამიტომ, განაცხადა გროტეოლმა, ძველი ადმინისტრაციული დაყოფა იმ ცვლილებებითაც კი, რაც 1945 წლის შემდეგ განხორციელდა, ახლა აბრკოლებს ახალ განვითარებას. ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უნდა გარდავქმნათ ისე, რომ სახელმწიფო აპარატი შეეძლოს თანმიმდევრულად განახორციელოს მშრომელთა ნება, რასაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონები გამოხატავენ, და მასების ინიციატივაზე დაყრდნობით განახორციელოს მშრომელი ხალხის პოლიტიკა.

ოტო გროტეოლმა სხდომას აცნობა, რომ ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების ბლოკის წარმომადგენლებმა მოიწონეს მთავრობის მიერ მომზადებული პროექტი კანონისა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გარდაქმნის შესახებ.

შემდეგ გროტეოლმა გააშუქა რესპუბლიკის სახელმწიფო აპარატის შემდგომი დემოკრატიზაციის კანონის ძირითადი ნიშნები. ეს კანონი ითვალისწინებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაყოფას ოლქებად, რომლებიც თავის მხრივ რაიონებად იყოფა. ეს ადმინისტრაციული დაყოფა უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკის ახალ ეკონომიურ განვითარებას და მან უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კონკრეტული და ეფექტიანი მუშაობა. ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შედეგად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას 194 რაიონი, 23 საქალაქო რაიონი, საერთო ანგარიშით 217 რაიონი. დღეს დე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 143 რაიონი იყო. თვითეულ ახალ რაიონში შეავა საშუალოდ 50 თემი. რესპუბლიკის ტერიტორია დაიყოფება 14 ოლქად; თვითეულ ოლქში, ამრიგად, შეავა საშუალოდ 15 რაიონი.

კანონით გათვალისწინებული ოლქები ისე შეიქმნება, რომ საქსონია-ანჰალტის მხარის ახლანდელი ტერიტორია შექმნის ორ ოლქს, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დანარჩენი მხარეების ტერიტორიები — სამ-სამ ოლქს.

ოტო გროტეოლმა ხაზგასმით აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ ახალი ტერიტორიული დაყოფა იმ ღონისძიებათა მხოლოდ ნაწილია, რომლებსაც სახალხო პალატის განსახილველად წარდგენილი კანონი ითვალისწინებს. ახალი ტერიტორიული დაყოფა რესპუბლიკის მხარეებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურისა და მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაციის წარმატების წინაპირობას ქმნის.

დასასრულ ოტო გროტეოლმა დაწვრილებით ილაპარაკა რესპუბლიკის ახლად შექმნილ ოლქებსა და რაიონებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამოცანებზე, კერძოდ იმ ამოცანებზე, რომლებიც ხელისუფლების ამ ადგილობრივი ორგანოების წინაშე ისახება იმ საქმეში, რომ ყოველი ღონისძიებით მიიღებინონ მშრომელებს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში.

სახალხო პალატის დეპუტატები მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ოტო გროტეოლის გამოსვლას.

სახალხო პალატის უხუცესთა საბჭოს წარმომადგენელმა დეპუტატმა ემილ ოტომ სახალხო პალატის ყველა ფრაქციის სახელით მხურვალედ მოიწონა წარდგენილი კანონპროექტი. ორატორმა განაცხადა, რომ სახალხო პალატის ყველა ფრაქციის დეპუტატები მზად არიან უაღრესად აქტიურად ითანამშრომლონ კანონპროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

სახალხო პალატის დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეებში სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაციის კანონი“.

სახალხო პალატის სხდომის დახურვისას გერმან მატერნმა აღნიშნა, რომ დღეს მიღებული კანონი დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების წარმატებითი მშენებლობისათვის. ამით დამთავრდა სახალხო პალატის სხდომა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატის სხდომა

ბერლინი, 24 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეთა პალატამ 23 ივლისის სხდომაზე ერთსულოვნად მოიწონა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეებში სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და მუშაობის შემდგომი დემოკრატიზაციის კანონი“.

დასავლეთ გერმანიის მშრომელნი იბრძვიან ანგიკროუკავშირული კანონის წინააღმდეგ

ბერლინი, 24 ივლისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მშრომელთა უფართოეს ფენებში ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა „საწარმოებში მუშათა მდგომარეობის შესახებ“ ანტიხალხური კანონის წინააღმდეგ, რომელიც ბონის პარლამენტმა მიიღო.

მუშათა კლასი სულ უფრო გაბედულად ილაშქრებს როგორც ადენაუერის დაახლოებულ პირთა — რეაქციული კანონმდებლობის აშკარა სულისჩამდგმელთა წინააღმდეგ, ისე მათ ხელშემწყობთა — დასავლეთ გერმანიის პროფკავშირების მემარჯვენე ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

აქტიურ ბრძოლაში ჩაებნენ რურის მუშები, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაფუშონ ომის გამჩაღებელთა გეგმები, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის ამ ნაწილის გადაქცევა მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ განზრახული აგრესიული ომის ძირითად ბაზად.

ამ დღეებში ესენში გაიმართა საწარმოო საბჭოების 250 წარმომადგენლის კონფერენცია, რომელმაც რურის 140 ათასი მეშახტის სახელით დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გამგეობას მოსთხოვა „მასობრივი ბრძოლის დაუყოვნებლივ გაჩაღებით“ უპასუხოს ბონის მთავრობის ანტიმუშურ კანონს.

ბოხუმის 25 ათასი მეალითონის წარმომადგენლებმა კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნეს, რომ ისინი თავიანთ უფლებათათვის სამართლიან ბრძოლაში შუა გზაზე არ შეჩერდებიან.

ჰელზენკირხენში „ნორდშტერნ 1-ბის 4“ შახტების მაღაროელებმა საერთო კრებაზე მიიღეს საპროტესტო რეზოლუცია ამ რეაქციული კანონის წინააღმდეგ და გაფიცვისაკენ მოუწოდეს მუშებს.

დასავლეთ გერმანიის ბევრ მეტალურგიულ საწარმოში გაავრცელეს ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ გაჩაღდეს მასობრივი ბრძოლა ფედერალური პარლამენტის მიერ მიღებული ანტიმუშური კანონის წინააღმდეგ.

ირანის ამბები

თეირანი, 24 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „დეჟი“, რომელიც გამოდის „ბესუე აიანდეს“ ნაცვლად, დღევანდელ მოწინავე სტატიაში, ეხება რა 21 ივლისის ამბებს, წერს:

„ჩვენ აშკარად და გადაჭრით ვაცხადებთ ჩვენს აზრს, რომელიც ირანელი ხალხის უმეტესობის აზრია: ირანის სამეფო კარს, კონსტიტუციის საფუძვლების თანაზომად, აბსოლუტურად უნდა აეკრძალოს სახელმწიფოს დიდ და მცირე საქმეებში ჩარევა. შაჰის ოჯახმა, მისმა ძმებმა, დებმა და ნათესავებმა, უბრალო ადამიანებივით უნდა დაიცვან დისციპლინა და დაემორჩილონ სახელმწიფოს კანონებს.

კარის წრეები, რომლებიც წამქეზებლობას ეწევიან და შეთქმულებებს აწყობენ, თავიდან უნდა მოვიშოროთ. შაჰის ნათესავები უნდა მოიხსნან თანამდებობებიდან, რაც უკანონოდ აქვთ მიღებული. არმია და პოლიციის ძალები მთავრობას უნდა დაემორჩილონ. არმიის ყოველი თანამდებობის პირი, რომელიც კანონის დარღვევას მოისურვებს, გასამართლებულ უნდა იქნას და დაისაჯოს. უნდა მოვაგონოთ მეჯლისის დეპუტატებსა და სენატორებს, რომლებიც განკარგულებას იღებენ სასახლიდან, რომ მომავალში ირანელი ხალხი ბოლოს მოუღებს ასეთ მოქმედებას“.

თეირანი, 24 ივლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ირანის სენატმა 33 ხმით (8 კაცმა თავი შეიკავა) მხარი დაუჭირა მოსადიკის კანდიდატურას ირანის პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ეგვიპტის ამბები

ტელ-ავივი, 24 ივლისი. (საკდესი). ისრაელის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ეგვიპტეში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას.

გაზეთ „კოლ ჰაამს“ მიაჩნია, რომ ეგვიპტეში მომხდარი გადატრიალება იმ ბრძოლის შედეგია, რომელიც ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს შორის წარმოებს სტრატეგიული პოზიციებისათვის ფადამიწის ამ ნაწილში, და რომ სწორედ ეს ბრძოლა იწვევს სამხედრო დიქტატურების რეჟიმის შექმნას. ეგვიპტეში სამხედრო ხროვის ბატონობამ, აღნიშნავს გაზეთი, უნდა გააადვილოს მისი შეერთება აბადღებულ შუა აღმოსავლეთის სარდლობასთან, რომელსაც, როგორც ცნობილია, ამერიკელები ქმნიან, როგორც აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის დამატება.

ეგვიპეტში მომხდარი გადატრიალების გამო

ბეირუთი, 24 ივლისი. (საკდესი). დამასკოს რადიო, იმოწმებს რა იუნაიტედ პრესის საგანგებო კორესპონდენტის ცნობას კაიროდან, იუწყება, რომ ამერიკის ელჩმა კაიროში კეფერიმ თავის მთავრობას გაუგზავნა მოხსენება, რომლითაც ატყობინებს, რომ გენერალ ნაგიბ-ფაშამ, რომელმაც გუშინ სამხედრო გადატრიალება მოახდინა ეგვიპტეში, მაშინვე დაამყარა კონტაქტი ამერიკის სამხედრო ატაშეს წარმომადგენელთან და სთხოვა მას აცნობოს ინგლისის სარდლობას სუეცის არხის ზონაში, რომ ინგლისის შეიარაღებული ძალების ყოველგვარ ჩარევას ეგვიპტის საქმეებში ეგვიპტის არმია იარაღით გაუწევს წინააღმდეგობას.

ფრანგი ხალხის მოთხოვნით

პარიზი, 24 ივლისი. (საკდესი). დაახლოებით ერთი თვის წინათ ტულონის სასამართლოს გამომძიებელმა როტმა გასცა ორდერი, რათა დაეპატიმრებინათ ეროვნული კრების ყოფილი დეპუტატი ზოვისპირა ალბების დეპარტამენტიდან, ცნობილი ფრანგი პატრიოტი ვირეელ ბარელი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის იმავე დეპარტამენტის ფედერაციის მდივანი როჟე ამბი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ეგრეთწოდებულ „სახელმწიფოს საგარეო უშიშროების წინააღმდეგ შეთქმულებაში“ მონაწილეობა.

გუშინ ვირეელ ბარელი დაჰკითხა გამომძიებელმა როტმა. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ბარელისათვის წაყენებულ ბრალდებათა სრული უსაფუძვლობისა და იმის შედეგად, რომ დაიწყო მძლავრი სახალხო საპროტესტო მოძრაობა ფრანგი პატრიოტების უკანონო დევნის წინააღმდეგ, გამომძიებელი როტი იძულებული გახდა გუშინ გაეუქმებინა ბარელის დაპატიმრების ორდერი. გაზეთი აგრეთვე იუწყება, რომ როტმა დროებით შეაჩერა როჟე ამბადის დაპატიმრების შესახებ განკარგულების შესრულება.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 24 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დასავლეთის ფრონტზე ხაკრენის რაიონში მოწინააღმდეგის ერთმა ათასეულმა იერიშები მოიტანა სახალხო არმიის პოზიციებზე. იერიშები მოგერიებულ იქნა. მტერმა ზარალი ნახა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს და დაანგრიეს მოწინააღმდეგის ოთხი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების დაბომბვაში.

საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაზე საბჭოთა სპორტის ტრიუმფი

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ტანმოვარჯიშეთა წარმატება

ჰელსინკი, 24 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში დამთავრდა ქალთა შეჯიბრება ტანვარჯიშში.

დღის პროგრამაში იყო ჯგუფური თავისუფალი მოძრაობა. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა გუნდმა მიიღო 73 ბალი და მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე გამოვიდა შვეიცის გუნდი, რომელმაც 74,2 ბალი მიიღო. მესამე ადგილზეა უნგრეთის გუნდი — 71,6 ბალი, მეოთხეზე — დასავლეთ გერმანიის გუნდი — 71,2 ბალი და მეხუთეზე — ფინეთი — 70,6 ბალი.

სამი დღის შეჯიბრების შედეგად საბჭოთა კავშირის გუნდმა მოაგროვა 527,03 ბალი და საერთო პირველი ადგილი დაიკავა. უნგრეთის გუნდი, რომელმაც 520,26 ბალი მიიღო, მეორე ადგილზეა. მესამეზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი (503,32 ბალი). წინანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა — შვეიცის გუნდმა — მიიღო 501.83 ბალი და მეოთხე ადგილზე დარჩა. მე-7, მე-8 და მე-9 ადგილები დაიკავეს ბულგარეთის, პოლონეთისა და რუმინეთის გუნდებმა.

ამერიკის გუნდს უკავია მე-14 ადგილი, ინგლისის გუნდს — მე-15.

დღესვე ტანმოვარჯიშეებს გადაეცათ ოლიმპიური მედლები და გაიმართა გამარჯვებულთა საჩვენებელი გამოსვლები. ეს იყო საბჭოთა ტანვარჯიშისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ტანვარჯიშის ნამდვილი ტრიუმფი.

2 ათასზე მეტი მაყურებლის ტაშის ვრიალში პირველი გამოდის თეორი სატანვარჯიშო კოსტიუმებით გამოწყობილი საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გუნდი; გუნდს სსრ კავშირის სახელმწიფო დროშით წინ მოუძღვის სპორტის ოსტატი ვ. მურატოვი. შემდეგ გამოდის შვეიცარიის გუნდი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, და ფინეთის გუნდი, რომელიც მესამე ადგილზე გამოვიდა.

გაისმის ოლიმპიური ფანფარების ხმა. მთელი დარბაზის ტაშის გრიალში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ჩუკარინს, შაგინიანს, ლეონკინს, მურატოვს, პერელმანს, ბერდიევს, კოროლკოვსა და ბელაკოვს გადაეცათ ოქროს ოლიმპიური მედლები. ოქროს მედალი მიიღო აგრეთვე საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მიიღეს შვეიცარიისა და ფინეთის სპორტსმენებმა.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. ყველანი ფეხზე დგებიან, ფლაგშტოკზე ზეიმით ააფრიალეს წითელი ალამი ნაბგლით და ეროთი.

ფინური ეროვნული კოსტიუმით გამოწყობილმა ქალიშვილმა თვითეულ საბჭოთა სპორტსმენს მიუძღვნა წითელი და თეთრი ყვავილების თაიგულები.

ვაუების წასვლის შემდეგ გამოდიან ქალები. კვლავ წინ არის მწვანე სასპორტო კოსტიუმებით გამოწყობილი საბჭოთა გუნდი. მას წინ მოუძღვის საბჭოთა ტანმოვარჯიშე მინაიჩევა, რომელსაც მოაქვს წითელი დროშა. მეორე მოდის წითელი კოსტიუმებით გამოწყობილი უნგრეთის გუნდი. მას მოჰყვებიან ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალები.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს გოროხოვსკაიას, ბოჩაროვას, მინაიჩევას, ჯუღელს, კალინჩუკს, დანილოვას, ურბანოვიჩსა და შამრაის, აგრეთვე გუნდის მწვრთნელს გადაეცათ ოქროს ოლიმპიური მედლები.

უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშე ქალებმა მიიღეს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

კვლავ აყოერდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი და ფლაგშტოკზე აფრიალდა ალისფერი ალამი.

შემდეგ გამოდიან ტანმოვარჯიშე ვაუები, რომლებმაც უმაღლესი შეფასება მიიღეს ოლიმპიური სატანვარჯიშო თორმეტკიდის შესრულებაში. პირველი გამოდის საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვ. ჩუკარინი — XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში. მას მოჰყვებიან საბჭოთა ტანმოვარჯიშე შაგინიანი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, და შვეიცარიელი შტალდერი.

ვ. ჩუკარინი ავიდა სპატიო კვარცხლბეკზე, და მას გადასცეს ოქროს მედალი. ვერცხლის მედალი მიიღო შაგინიანმა და ბრინჯაოსი—შტალდერმა.

მესუბალის დარბაზში მესამედ გაისმა საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი. ორი წითელი ალამი აფრიალდა ფლაგშტოკზე. 2 ათასზე მეტი მაყურებელი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავს მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს.

ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო ოვაცია, რომ სცენაზე ავიდნენ მწვანე და წითელი კოსტიუმებით გამოწყობილი ქალიშვილები. ესენი არიან ქალთა სატანვარჯიშო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი: საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გოროხოვსკაია, საბჭოთა ტანმოვარჯიშე ბოჩაროვა და უნგრელი ტანმოვარჯიშე კორონდი. ისინი საუკეთესონი არიან უკეთესთა შორის.

მარიამ გოროხოვსკაიამ მიიღო XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის ტანვარჯიშის აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი, ნინო ბოჩაროვამ — ვერცხლისა და უნგრელმა ტანმოვარჯიშე მარგიტ კორონდიმ — ბრინჯაოს მედალი.

კვლავ გაისმა საბჭოთა ჰიმნი და აფრიალდა საბჭოთა ალამი.

შემდეგ იწყება გამარჯვებულ ტანმოვარჯიშე ვაჟთა და ტანმოვარჯიშე ქალთა საჩვენებელი გამოსვლები და მედლების გადაცემა სპორტსმენებისათვის, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშობაში. დარბაზი მჭუხარე ოვაციით მიესალმება სსრ კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების და სხვა სახელმწიფოების სპორტსმენთა ყოველ გამოსვლას.

მაყურებელთა ტაშის გრიალში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მიიღეს რგოლებზე ვარჯიშობისათვის შაგინიანმა, ჩუკარინმა და ლეონკინმა, ტაიჭზე ვარჯიშობისათვის—ჩუკარინმა, კოროლკოვმა და შაგინიანმა, საყრდენით ხტომისათვის ოქროს მედალი მიიღო ჩუკარინმა, ორძელზე ვარჯიშობისათვის მასვე მიეცა ვერცხლის მედალი.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა ბოჩაროვამ და გოროხოვსკაიამ ბუმზე ვარჯიშობისათვის მიიღეს ოქროსა და ვერცხლის მედლები. გოროხოვსკაიამ ვერცხლის მედალი მიიღო ორძელზე ვარჯიშობისათვის, კალინჩუკმა, გოროხოვსკაიამ და მინაიჩევამ — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები — საყრდენით ხტომისათვის, გოროხოვსკაიამ ვერცხლის მედალი მიიღო თავისუფალი მოძრაობის შესრულებისათვის.

იწყება პროგრამის უკანასკნელი ნაწილი. სცენაზე რიგრიგობით გამოდიან შვეიცის, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ტანმოვარჯიშეები. ისინი ასრულებენ გუნდურ თავისუფალ მოძრაობას.

ჩაიკოვსკის მუსიკის ხმაზე დინჯად, ზუსტად, ლამაზად და შეწყობილად ვარჯიშობენ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალები, რომლებმაც მაყურებელთა საყოველთაო აღტაცება გამოიწვიეს.

კვლავ გაისმის ოლიმპიური ფანფარების ხმა, და საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალი შამრაი საბჭოთა გუნდის სახელით იღებს კოდეე ერთ ვერცხლის მედალს გუნდური თავისუფალი მოძრაობის შესრულებისათვის.

XV საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობის სატანვარჯიშო შეჯიბრების დამთავრებულად აცხადებენ. ამ შეჯიბრებამ მთელ მსოფლიოს დაანახვა საბჭოთა სპორტსმენების მაღალი კლასი.

სტუდენტთა აღკინისტური დაშკრობა

სტალინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible] ალპინისტური [illegible] მოაწყო [illegible] ალპინიზმში.

18 ივლისს ლაშქრობის მონაწილენი ავიდნენ შვიდი ძმის მწვერვალთა ჯგუფის ერთ-ერთ მწვერვალზე—„პატარა ნეფის კალოზე“ (3.760 მეტრი ზღვის დონიდან). მეორე დღეს იმავე ჯგუფმა დაიპყრო მეზობლად მდებარე უსახელო მწვერვალი (3.900 მეტრი), სადაც ჯერ არავინ ასულა.

21 ივლისს სტუდენტთა დიდი ჯგუფი 36 კაცის შემადგენლობით შეუდგა სამთო-ტურისტულ ლაშქრობას ალაგირის მიმართულებით. მათ გაიარეს თრუსოს, დვალეთისა და კასარის ხეობები. შემდგომ დღეებში ლაშქრობის მონაწილეებმა გადალახეს სამი უღელტეხილი და გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ლაშქრობას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ალპინისტური სექციის თავმჯდომარე დოცენტი ო. გიგინეიშვილი.

შეხვედრა მწერლებთან

17 ივლისს მასწავლებლის სახლში მოეწყო პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა შეხვედრა ქართველ საბჭოთა მწერლებთან.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ა. ხარაძემ.

სტუდენტები შეხვდნენ მწერლებს: გ. ლეონიძეს, ი. მოსაშვილს, ი. გრიშაშვილს, გ. ტაბიძეს, კ. გამსახურდიას, ა. მირცხულავას, ა. ბელიაშვილს, კ. კალაძეს, ს. ჩიქოვანს და სხვ.

მოხსენება თემაზე—„ქართული საბჭოთა მწერლობა“ — წაიკითხა ამხ. ბ. ეფენტმა.

თავიანთი ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს — მწერლებმა გ. ტაბიძემ, ა. მირცხულავამ, კ. კალაძემ, ი. გრიშაშვილმა და ა. ბელიაშვილმა.

ახალი ამბები

⊙ **„გლავმაშპრომბორსბიტის“** თბილისის საფირმო მაღაზიამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაყიდა 1.800 ცალი ხელით საკერავი მანქანა და 10.000 ცალი ჯიბის, მაჯისა და მაგიდის საათი.

⊙ **რესპუბლიკური ვეტერინარული ლაბორატორიისათვის** შენობის ასაგებად თბილისის საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნავთლუღში გამოუყო მიწის ნაკვეთი.

⊙ **104 ახალგაზრდამ დაამთავრა** ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი და მიიღო საგზური სოფლად სამომხმარებლო კოოპერაციულ სავაჭრო ქსელში მუშაობისათვის. კურსდამთავრებულთა შორის არიან საქონელმცოდნეები და ბუხჰალტრები.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — მეთამბაქოეთა ღირსების საქმე.

საერთო სათაურით „ხვალ იხსნება ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხი“ წერილები: ა. უზკოვი — ოსტატობის სკოლა. ი. ცეცაძე — მოწინავე გამოცდილების ლაბორატორია. სიმღერები ვოლგა-დონზე.

რესპუბლიკური ინფორმაციები.

მეორე გვერდი — საერთო სათაურით „სტალინური ეპოქის დიდი ნაგებობა“ წერილები: ა. გაბუნია — ვოლგა-დონის მშენებელთა გამოცდილება — საქართველოს ირიგატორებს. ლ. გელესიანი — კომუნიზმის მშენებლობათა პირმშო. დიდი მშენებლობის აღსანიშნავად. ვოლგა-დონის შეკვეთები ვადამდე სრულდებოდა.

მესამე გვერდი — საერთო სათაურით „1952 წლის მოსავალი“ წერილები: ფ. მიროშნიკოვი—იოსებ ტიტვინიძის მაგალითისამებრ. დ. ნიკოლაშვილი. მოდის ხორბალი. კ. გუ